პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 10 (10096) | ხუთშაბათი, 13 იანვარი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ლენინიზმი მარად ცოცხალი, ცხოველმყოფელი მოძღვრებაა. — **„პრავდის“ 12 იანვრის მოწინავე** (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემა (1-ლი გვერდი).

პოლიტიკური აგიტაცია ამომრჩეველთა შორის. — **შ. ზედელაშვილი.** — მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე (მე-2 გვერდი).

პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთა დასახმარებლად. — **ს. ინწკირველი.** — ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორები სსრ კავშირში (მე-2 და მე-3 გვერდი).

ჟურნალების ფურცლებზე. — **გ. ხვანიძე.** — „მრეწნიერება და ტექნიკის“ ღირსებანი და ნაკლოვანებანი (მე-3 გვერდი).

მშენებლობის საკითხებზე. — **ზ. ჯამასპიშვილი, დ. ამირანიძე.** — მოუქნელი მშენებლები თუ... გულგრილი დამკვეთები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ლენინიზმი მარად ცოცხალი, ცხოველმყოფელი მოძღვრებაა

„პრავდის“ 12 იანვრის მოწინავე

გუშინ ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღის შესახებ“. ამ დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა შეგნებაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან, მის მოძღვრებასთან დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანების დიდი გამარჯვებები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ამიტომ ახლა უფრო მიზანშეწონილია ვ. ი. ლენინის ხსოვნა აღინიშნებოდეს არა მისი გარდაცვალების დღეს, რაც გლოვისა და მწუხარების დაღს ასვამს, არამედ ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს — 22 აპრილს, ამასთან მიეცეს ამ თარიღს დღესასწაულის მნიშვნელობა, რაც უფრო შეესაბამება ლენინიზმის, როგორც მარად ცოცხალი, ცხოველმყოფელი მოძღვრების მთელ არსს.

გამოვიდა რა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე, ვ. ი. ლენინმა, როგორც მარქსისა და ენგელსის ერთგულმა და თანმიმდევარმა მოწაფემ, ულმობელი ბრძოლა გააჩაღა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მუშათა მოძრაობაში, პროლეტარიატის ძალების ორგანიზაციისა და მებრძოლად დარაზმვისათვის რევოლუციური მარქსიზმის დროშით. ლენინმა დააარსა ახალი ტიპის პარტია — კომუნისტური პარტია, მკაფიოდ განსაზღვრა მისი იდეოლოგიური, ტაქტიკური, ორგანიზაციული და თეორიული პრინციპები. სოზოგადებრივი განვითარების კანონზომიერებათა ანალიზის საფუძველზე, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ლენინი გაბედულად კვალავდა ახალ გზებს თეორიაში. მან შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი, შექმნა მოძღვრება იმპერიალიზმზე, შექმნა სოციალისტური რევოლუციის ახალი დასრულებული თეორია, შეაიარაღა პარტია სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მეცნიერულად ღასაბუთებული პროგრამით.

რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე ლენინის იდეები აციისკროვნებდნენ და აციისკროვნებენ პარტიის ბრძოლის ამოცანებსა და პერსპექტივებს, მის სტრატეგიასა და ტაქტიკას. მტრების წინააღმდეგ უსასტიკეს ბრძოლაში კომუნისტურმა პარტიამ სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოატარა მშრომელები. შექმნა რა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, მან 1917 წლის ოქტომბერში უზრუნველყო კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლების დაპყრობა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კომუნისტური პარტიის წინაშე დაისახა გრანდიოზული, თავისი სირთულით და სიძნელით, მასშტაბებითა და სიღრმით უმაგალითო ამოცანები. ხელმძღვანელობდა რა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხალხი აღაორთოვანა და დარაზმა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის. მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. გადალახა რა უდიდესი სიძნელენი, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით, სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა საბჭოთა ქვეყნის ხალხები.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალა და სიმტკიცე განსაკუთრებით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში, რომლის მსვლელობაში ცხადი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველობა.

ჩვენი პარტიის მძლავრი ძალა, მაცოცხლებელი წყარო, რომელიც უზრუნველყოფს მის გამარჯვებებს, — არის ლენინის გენიით გაკისკროვნებული რევოლუციური თეორია, ლენინიზმისადმი პარტიის უსაზღვრო ერთგულება. ლენინიზმი — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი — ყოვლისმძლე მოძღვრებაა. ისტორიის მანძილზე აღმოცენდა მრავალი სხვადასხვა თეორია, რომლებიც ცდილობდნენ დაესახათ საზოგადოების განვითარების გზები და დაეხატათ მომავლის სურათი. მაგრამ ეს იყო არამეცნიერული თეორიები, რომლებიც არ იყო დაკავშირებული პრაქტიკასთან და მშრომელი მასების ბრძოლასთან.

ამ მოძღვრებათა საწინააღმდეგოდ მარქსიზმ-ლენინიზმი სიმართლით ასახავს საზოგადოების განვითარების მატერიალურ მოთხოვნილებებს. მისი დასკვნები და დებულებები ცოცხალ ცხოვრებას ემყარება და მისგან გამომდინარეობს. მარქსიზმ-ლენინიზმი მარად ცოცხალი მოძღვრებაა, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ძირეული ინტერესების მეცნიერული გამოხატულებაა. იგი განუწყვეტლივ ვითარდება და მდიდრდება ახალი გამოცდილებით. მისი სიდიადე, ყოვლისმძლე ძალა სულ უფრო ღრმად და სრულად ევლინება მსოფლიოს ჩვენი წინსვლის თვითეულ ახალ ეტაპზე.

„ლენინიზმი, — აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღის შესახებ“, — არის დიადი ცხოველმყოფელი მოძღვრება, რომელიც გვინათებს კომუნიზმის მშენებლობის გზას. ლენინი ცოცხლობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიად საქმეებში, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ახალ წარმატებებში, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმის გზით“.

ახორციელებს რა ვ. ი. ლენინის წინასწარდასახულობებს, ამჟამად პარტია წყვეტს სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ამოცანებს, ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა. კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს მძიმე ინდუსტრიის — მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამ საფუძვლისა და ჩვენი სამშობლოს საზღვრების მიუვალობის გარანტიის — ყოველი ღონისძიებით განვითარების კურსს. ხორციელდება ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური იდეა. პარტია მტკიცედ ახორციელებს სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის ღონისძიებებს. სსრ კავშირის მშრომელები მუშაობენ მილიონობით ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე, იბრძვიან ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, სურსათსა და სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

პოლიტიკა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა და განუხრელად ახორციელებს, გამოხატავს ხალხის მასების ძირეულ ინტერესებს, ემსახურება მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებას, მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. ამ პოლიტიკას მხარს უჭერს მთელი ხალხი. ეს მკაფიო გამოხატულებას პოულობს მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მძლავრად გაჩაღებით, მშრომელთა დიდი აქტივობით, რომელიც მიმართულია შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ და იმ უდიდეს შესაძლებლობათა და რეზერვების გამოყენებისაკენ, რომლებსაც სოციალისტური მეურნეობა შეიცავს.

კომუნისტური პარტია — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალა მილიონობით საბჭოთა ადამიანის შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას წარმართავს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განსახორციელებლად. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი იბრძვის უძრაობისა და რუტინის წინააღმდეგ, თვითკმაყოფილებისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ, გზას უკაფავს ყოველივე ახალს, მოწინავეს, მტკიცედ იბრძვის ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. პარტია მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფართო პროპაგანდას ეწევა. საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრის უმნიშვნელოვანესი პირობაა ის, რომ კადრები დაეუფლონ რევოლუციურ თეორიას. ჩვენს ქვეყანაში მილიონიანი ტირაჟებით გამოდის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტი უშვებს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემას.

ლენინიზმი, როგორც საბჭოთა ხალხის გზისმანათლებელი ვარსკვლავი მის ბრძოლაში კომუნიზმისათვის, მძლავრ გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. სულ ოცდაჩვიდმეტი წელი გავიდა იმ სახელოვანი დღეების შემდეგ, როცა ლენინის იდეები განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული გამარჯვებით. რა მძლავრი ცხოველმყოფელი ძალა აქვთ ლენინურ იდეებს, რომ მათ ესოდენ მოკლე ვადაში ასე შეცვალეს მსოფლიო!

გამართლდა დიდი ლენინის განჭვრეტა, რომ კაპიტალიზმს სულ ახალი და ახალი ქვეყნები ჩამოშორდებაო. კაცობრიობის მესამედზე მეტმა თავი დაიღწია იმპერიალისტური ჩაგვრის ბორკილებს და აშენებს ახალი ცხოვრების ნათელ შენობას. ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა საკუთარ ხელში აიღეს თავიანთი ბედი, დაამყარეს და განამტკიცებენ სახალხო დემოკრატიულ წყობილებას, წარმატებით უყრიან საფუძველს სოციალიზმს. დიდმა ჩინელმა ხალხმა მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, რამაც იმპერიალიზმის მთელ ფრონტს მძლავრი დარტყმა მიაყენა, ხოლო ახლა წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას. იზრდება მუშათა მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

როგორც ლენინი წინასწარმეტყველებდა, ხდება კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაწყვეტა, სულ უფრო ღრმავდება კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, იზრდება უმუშევრობა, სიძვირე, მშრომელთა გაღატაკება. ამერიკელი იმპერიალისტების აღვირახსნილი ექსპანსიის შედეგად სულ უფრო მწვავდება იმპერიალისტური მონოპოლიების ბრძოლა კაპიტალისტურ ბანაკში. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული წრეები, სიკვდილის წინ გამძვინვარებულნი, ცდილობენ ახალი მსოფლიო ომის უფსკრულში გადაჩეხონ კაცობრიობა. მშვიდობისმოყვარე ხალხები თავიანთ ძალებს რაზმავენ, რათა დანაშაულებრივი გეგმები ჩაუფუშონ ომის იმპერიალისტ გამჩაღებლებს.

ახლა ლენინის ყოვლისმძლე იდეებს უპყრია მილიონობით ადამიანის გონება, ისინი გახდნენ ჩვენი დროის მამოძრავებელი ალები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების შესაბამისად ადამიანის საკეთილდღეოდ გარდაქმნიან მსოფლიოს. „ლენინის იდეები, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — ცოცხლობენ და იმარჯვებენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის მშრომელთა საქმეებში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საერთაშორისო მოძრაობაში, რომელიც იზრდება და მტკიცდება“.

საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით შეჰყურებს მომავალს. მის წინ არის ლენინის მოძღვრებით გასხივოსნებული კომუნიზმის ფართო და ნათელი გზა. მის ბრძოლას ხელმძღვანელობს, მის გმირულ შრომას ბრძნულად წარმართავს ბრძოლებში გამობრძმედილი სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტი უშვებს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა ახალ, მეორე გამოცემას.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა პირველი გამოცემა რუსულ ენაზე, რომელიც გამოვიდა პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილებით, თავის დროზე მარქსიზმის ფუძემდებელთა ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე სრული პუბლიკაცია იყო. მაგრამ ამ გამოცემას ჰქონდა არსებითი ნაკლოვანებანი: თარგმანის მთელი რიგი დამახინჯებანი და უზუსტობა, შეცდომები საცნობარო მასალაში. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის ამოცანაა აღმოფხვრას პირველი გამოცემის ნაკლოვანებანი.

მეორე გამოცემაში შეტანილია მთელი რიგი ნაშრომები, რომლებიც არ შესულა პირველ გამოცემაში, მათ შორის „კაპიტალის“ IV ტომის დაუმთავრებელი ხელნაწერი („ზედმეტი ღირებულების თეორიები“). იგი ერთ დროს გამოსცა კაუცკიმ ფალსიფიცირებული სახით, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში ამახინჯებდა კარლ მარქსის ხელნაწერის ტექსტს და არღვევდა მის სტრუქტურას. თხზულებებში ხელნაწერი იბეჭდება მთლიანად, მასალების განლაგების რიგის შესახებ კ. მარქსის დღემდე შემონახულ მითითებათა შესაბამისად. თხზულებათა ახალ გამოცემაში პირველად არის შეტანილი „კაპიტალის“ I ტომის კონსპექტი“, რომელიც ენგელსმა შეადგინა, მარქსისა და ენგელსის სტატიების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც გამოქვეყნებული იყო „ახალ რეინის გაზეთში“, „ნიუიორკის ტრიბუნაში“ და პრესის სხვა ორგანოებში, აგრეთვე მთელი რიგი მასალები და დოკუმენტები, რომლებიც შეეხება მარქსიზმის ფუძემდებელთა მოღვაწეობას პირველ ინტერნაციონალში.

იმ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი, რომლებიც პირველად არის შეტანილი თხზულებებში, წინათ გამოქვეყნებული იყო რუსულ ენაზე „მარქსისა და ენგელსის არქივის“ ტომებში და მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის სხვა გამოცემებში, საბჭოთა პერიოდულ პრესაში, აგრეთვე მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის გამოცემებში ორიგინალის ენაზე. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია, დოკუმენტი და სიტყვა ინსტიტუტმა აღმოაჩინა მეორე გამოცემის მომზადების დროს.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებნი ტომებში და ტომების შიგნით განლაგებულია ქრონოლოგიური წესით, მათი დაწერის ან გამოქვეყნების თარიღის შესაბამისად. გამონაკლისს შეადგენენ „კაპიტალისა“ და „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ ტომები, რომლებიც ქვეყნდება ქრონოლოგიური პრინციპიდან ერთგვარი გადახვევით მათ შორის მთლიანობისა და ორგანული კავშირის შენარჩუნების მიზნით. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიწერ-მოწერა და მათი წერილები მესამე პირებისადმი შეადგენენ თხზულებათა უკანასკნელი ხუთი ტომის შინაარსს.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყველა ნაწარმოები, რომლებიც შევიდა მეორე გამოცემაში, იბეჭდება შემოწმებული და გასწორებული თარგმანით.

მეორე გამოცემის ტომებს დართული აქვს წინასიტყვაობანი და საცნობარო მასალები (შენიშვნები, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები, საძიებლები).

ეს გამოცემა განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და არ არის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყველა ნაწარმოების სრული, აკადემიური გამოცემა. ამ გამოცემაში შეტანილი არ არის მათი ზოგიერთი ადრინდელი ნაწარმოები და ცალკეული ნაშრომები, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ მხოლოდ სპეციალისტთა შედარებით ვიწრო წრისათვის. ეს ნაწარმოებნი გამოიცემა ცალკე კრებულად.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემა გათვალისწინებულია 30 ტომად.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებებს უშვებს პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტი.

პარჭიის მოწოდებით

 კრასნოდარი. კრასნოდარის მხარის ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ყამირი მიწების ათვისებაში. ყუბანის სტანიცებისა და ხუტორების 6 ათასზე მეტი ახალგაზრდა პატრიოტი უკვე მუშაობს ციმბირის და ყაზახეთის ახალ საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

კრასნოდარის მხარეში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მოსკოვის იმ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის კრების მიმართვამ, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს გაემგზავრონ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

რამდენიმე დღის განმავლობაში კრასნოდარის მხარის კომკავშირის კომიტეტებში შემოვიდა ახალგაზრდა პატრიოტთა 11 ათასზე მეტი განცხადება.

რიგა. დიდმა პატრიოტულმა აღმავლობამ მოიცვა ლატვიის კომკავშირელები და ახალგაზრდობა, როცა მათ გაიგეს, რომ მოსკოველებმა გადაწყვიტეს გაემგზავრონ ყამირის ასათვისებლად. როგორც შარშან გაზაფხულზე, ისე ახლაც რიგის, დაუგავპილსის, ელგავისა და სხვა ქალაქების კომკავშირულ ორგანიზაციებში შემოდის განცხადებები ახალგაზრდებისაგან, რომლებიც ითხოვენ ყამირი მიწების რაიონებში სამუშაოდ გაგზავნას. მარტო სამი დღის განმავლობაში ასეთი განცხადება შემოიტანა საბჭოთა ლატვიის დედაქალაქის 1.500-ზე მეტმა ახალგაზრდა პატრიოტმა.

11 იანვარი. (საკდესი).



უკრაინის სსრ. კახოკის ჰიდროკვანძის მშენებლებმა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მოწოდების პასუხად ვალდებულება იკისრეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის 38-ე წლისთავისათვის. **სურათზე:** კახოკის ჰიდროელექტროსადგურის შენობის ზემო ბიეფის კონსოლური ხაურდენების აგება.

ფოტო ი. ლიხუტასი.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავის გამო

სვერდლოვსკი. 11 იანვარი. (საკდესი). ურალის მშრომელნი ემზადებიან იმისათვის, რომ აღნიშნონ რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავი. სვერდლოვსკის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხანაში გაიმართა ლექცია 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ, ხოლო ქალაქის პარტიულ ბიბლიოთეკაში — თემაზე „ურალის ბოლშევიკები ხალხის მასების სათავეში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“.

ბიბლიოთეკებში გაიხსნა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის გამოფენები. ისინი ასახავენ მუშების, გლეხების, ჯარისკაცებისა და მატროსების გმირობას რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკაში გამოფენაზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი, აგრეთვე წიგნები — ა. მ. გორკის „დედა“, ნოვიკოვ-პრიბოის „ცუსიმა“ და სხვ.

ურალში ბევრი ადგილია დაკავშირებული 1905-1907 წლების რევოლუციურ ამბებთან. სვერდლოვსკის გარეუბანში კამენნიე პალატკისთან 50 წლის წინათ ი. მ. სვერდლოვის ხელმძღვანელობით იმართებოდა ეკატერინბურგის მუშების მასობრივი მიტინგები. მშრომელნი დიდი ინტერესით ათვალიერებენ ორსართულიან სახლებს კიროვის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო რსდმპ ეკატერინბურგის კომიტეტის მთავარი ბინა.

ბევრი ხალხი დადის ი. მ. სვერდლოვის მუზეუმში, რომელიც ქალაქის ცენტრშია. აქ ექსპონირებულია მასალები რუსეთის მშრომელთა, მათ შორის ურალის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის შესახებ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ სახლის მესამე სართულზე 1905 წელს ი. მ. სვერდლოვის ხელმძღვანელობით იკრიბებოდნენ ეკატერინბურგის აგიტატორები და პროპაგანდისტები.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კომპოზიტორ რ. მ. გლიერის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების მეოთხმოცე წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი რეინგოლდ მორიცის-ძე **გლიერი** დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 11 იანვარი.

ცალკე ბროშურად გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა „მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების შესახებ“, რომელიც მან წარმოთქვა მშენებელთა, არქიტექტორთა, საშენი მასალების, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 7 დეკემბერს.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

რკინაბეტონის კონსტრუქციათა ახალი ქარხნები

კალინინი, 10 იანვარი. (საკდესი). ქალაქ კალინინში მთავრდება რკინაბეტონის კონსტრუქციათა ქარხნის მშენებლობა. საწარმო გამოუშვებს ასაწყობ რკინაბეტონს, არმირებულ ქაფსილიკატებს და დიდ კოჭებს.

ასაწყობი რკინაბეტონის საამქროში მთავრდება მოწყობილობის მონტაჟი. ამ საამქროს წლიური წარმადობაა 10 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონი.

აქ დაიწყო კიდევ ორი ქარხნის მშენებლობა — რკინაბეტონისა და არმირებული ქაფსილიკატისა. თვითეული მათგანის წლიური სიმძლავრე იქნება 15 ათასი კუბური მეტრი საშენი მასალა.

დაჯილდოება ნიშნით „ახალი მიწების ათვისებისათვის“

დიდი პატივია ატარებდე მკერდზე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნიშანს „ახალი მიწების ათვისებისათვის“. ამ ნიშნით აჯილდოებენ კომკავშირელებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების სამუშაოებზე.

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შემოდის ალტაის, ყაზახეთისა და ციმბირის კომკავშირული ორგანიზაციების წარდგინებანი იმ ახალგაზრდა ენთუზიასტების საპატიო ნიშნით დაჯილდოების შესახებ, რომლებიც ახალი მიწების ათვისებაზე მუშაობენ.

გასულ წელს კარგად იმუშავეს ჩელაბინსკის ოლქის ბრედის მტს-ის კომკავშირელმა ტრაქტორისტებმა ვ. ლებედევმა და ნ. ლიულინმა. მოკლე ვადაში მათ მოხნეს ორი ათასამდე ჰექტარი ყამირი. ცელაში ორ ნორმაზე მეტს ასრულებდა კატავის მტს-ის ტრაქტორისტი მ. კისტოვი. ისინი ყველანი ახლა დაჯილდოებული არიან ნიშნით „ახალი მიწების ათვისებისათვის“.

დიდი პატივის ღირსი გახდნენ აგრეთვე ახალგაზრდა მუშები — ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის ტიმირიაზევის საბჭოთა მეურნეობის მშენებლები ა. ლიმაევი, ვ. ტორგაშევი, ნ. პროკოფიევი და სხვები.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნიშნით „ახალი მიწების ათვისებისათვის“ უკვე დაჯილდოებულია 1.230 კაცი. (საკდესი).

ამურის კომსომოლსკი. მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მაგალითის მიხედვით ქარხანა „ამურსტალის“ მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 1955 წლის 1 ივნისისათვის და შრომის ნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით გაადიდონ 20 პროცენტით. **სურათზე:** ქარხანა „ამურსტალის“ თუნუქსაგლინავი საამქროს ერთ-ერთ განყოფილებაში. ფოტო ვ. ბაიდალოვისა.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

პოლიტიკური აგიტაცია ამომრჩეველთა შორის

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა—ახალი ამოცანების დონეზე

კომუნისტური პარტია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკურ აგიტაციას, როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ახალი გადაუდებელი ამოცანების წარმატებითი განხორციელება მოითხოვს სოფლად პოლიტიკური აგიტაციის გაძლიერებას, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას.

დმანისის რაიონში პოლიტიკური აგიტაცია საგრძნობლად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც რაიონის პარტიული აპარატი გარდაიქმნა და მტს-ების ზონების მიხედვით შეიქმნა პარტიულ მუშაკთა ჯგუფები რაიკომის მდივნების მეთაურობით.

ამჟამად დმანისისა და გომარეთის მტს-ების ზონებში 454 აგიტატორი და გაზეთის წამკითხველი ეწევა სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას. აგიტატორთა უმრავლესობა კომუნისტებია. სააგიტაციო მუშაობაში ჩაბმული არიან პოლიტიკურად მომზადებული ტრაქტორისტები, კომბაინერები, კოლმეურნეები, მასწავლებლები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები.

სააგიტაციო მუშაობის ცენტრში დგას ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის მზადება, ამასთან ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების მიერ დასახულ ღონისძიებათა ახსნა-განმარტებაზე, მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაუმჯობესებაზე. ყველა ამ საკითხზე პარტიის რაიკომში მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარები და გაიმართა აგიტატორთა ზონალური თათბირები.

პოლიტიკური აგიტაცია უნარიანად არის მოწყობილი დმანისის მტს-ის პარტიულ ორგანიზაციაში. იქ სისტემატურად იმართება აგიტკოლექტივის მეცადინეობა, ეწყობა პოლიტიკური მოხსენებები და ლექციები. პრაქტიკაში შემოღებულია აგიტატორთა თათბირები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა დ. ქრისტესიაშვილმა, რომელიც პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიბაროს მდივანიც არის, ისე მოაწყო მუშაობა, რომ აგიტატორები თავიანთი შინაარსიანი და საინტერესო საუბრებით რაზმავენ მექანიზატორებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის. ამის შედეგიც არის, რომ მტს-ის ყველა სტრაქტორო ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს და აღწევს ეკონომიას საწვავის ხარჯვაში.

მტს-ის კედლის გაზეთში ხშირად იბეჭდება წერილები სააგიტაციო მუშაობის შესახებ, გაშუქებულია მოწინავე აგიტატორების მ. გაჩეჩილაძის, მ. კოხრეიძის, ვ. ანიშჩენკოს, ა. ქარიმოვის, გ. ასლანიანცის მუშაობის გამოცდილება.

სოფელ გომარეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ყველაზე დიდი კოლმეურნეობაა. მძლავრია ამ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. კოლმეურნეობაში ამჟამად 38 აგიტატორი და გაზეთის წამკითხველი ეწევა აგიტაციას კოლმეურნეთა შორის. მათი დიდი უმეტესობა სიყვარულითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. საინტერესოდ და მაღალ იდეურ დონეზე აწყობენ საუბრებს აგიტატორები ნ. მუჯირიშვილი, ტ. სიხუაშვილი, ი. მუჯირიშვილი, ს. ხიზანიშვილი და სხვები. ისინი არ კმაყოფილდებიან მარტო საგაზეთო მასალების უბრალო წაკითხვით. მათი საუბრები ცოცხალი, მიმზიდველია, მჭიდროდ დაკავშირებულია ბრიგადების, ფერმების, რგოლების, მთლიანად კოლმეურნეობის ყოველდღიურ საქმიანობასთან.

პოლიტიკური აგიტაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა. ამ მხრივ მისაბაძია აგიტატორების შ. ტატუაშვილის, ი. მუჯირიშვილის, გ. ჩაჩანიძის, ნ. ხიზანიშვილის მუშაობა. საგაზეთხელო და საშემოდგომო თესვის დროს ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ უფრო მეტი ხორბალი და ქერი დათესილიყო ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად. კოლმეურნეობამ გაზეთხელზე ამ წესით 600-ზე მეტი ჰექტარი დათესა, ხოლო შემოდგომაზე — 750 ჰექტარი. აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთხელზე 265 ჰექტარი კარტოფილიდან 255 ჰექტარი კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგეს.

აგიტატორებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საკვებმომპოვებელი ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესებაში. ამ ბრიგადებმა გაადიდეს ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების, სასილოსე კულტურების, მზესუმზირას, სიმინდის, ძირხვენების სათესი ფართობები, ააშენეს ახალი და შეაკეთეს ძველი სასილოსე ორმოები და კოშკები, გეგმის გადამეტებით ჩადეს 800 ტონაზე მეტი სილოსი.

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები გომარეთის მტს-ში აგიტატორები არიან. აგიტატორებმა შ. რაზმაძემ და ვ. მუჯირიშვილმა უზრუნველყვეს სატრაქტორო ბრიგადის წევრებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა და ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით შესრულება.

პოლიტიკურ აგიტაციას კარგად ხელმძღვანელობენ აგრეთვე სოფელ ყიზილ-ქილისის 26 კომისრის, სოფელ ჯავახის მეჩვიდმეტე პარტყრილობის, სოფელ განთიადის ორჯონიკიძის, სოფელ საფარლოს სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებში პარტბიუროს სხდომებზე და პარტიულ კრებებზე სისტემატურად განიხილავენ სააგიტაციო მუშაობის დაყენების საკითხებს. რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთები და საველე ფურცლები, თვალსაჩინო ადგილებზე მოწყობილია საგაზეთო ვიტრინები, სოცშეჯიბრების დაფები. სასოფლო ბიბლიოთეკებში სისტემატურად ეწყობა ლიტერატურის გამოფენა აგიტატორების დასახმარებლად, აგრეთვე იკვრება კოლმეურნეობის, ბრიგადების, ფერმების მუშაობის მაჩვენებლები. აგიტატორებმა უკვე გამართეს პირველი საუბრები საბჭოთა საარჩევნო სისტემაზე, დაიწყეს მოსახლეობისათვის არჩევნების დებულების გაცნობა-განმარტება, აგიტპუნქტებში მოაწყეს საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, ამზადებენ კედლის გაზეთებს და სხვ.

სოფლად პოლიტიკური აგიტაციის იდეური დონე რომ ავაღლოთ და იგი უფრო ქმედითი გავხადოთ, საჭიროა გავაუმჯობესოთ მუშაობა აგიტატორებთან, ყოველდღიურად წარვმართოთ მათი საქმიანობა, ვუხელმძღვანელოთ და ყოველმხრივი დახმარება გავუწიოთ მათ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აგიტატორებმა თავიანთი მუშაობა დაუკავშირონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობას. სამწუხაროდ, ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ივიწყებს აგიტატორებთან მუშაობის უმნიშვნელოვანეს საქმეს. რაიკომის ზოგიერთი ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში, კერძოდ მ. ნასიბოვი და ა. დრაზლოვი, საჭირო დახმარებას არ უწევენ აგიტატორებს, არ ასწავლიან მათ, არ აძლევენ საქმიან რჩევა-დარიგებას. მათ პრაქტიკაში შემოღებული არა აქვთ ზონის მიხედვით აგიტატორთა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა შეკრება გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კედლის გაზეთების მუშაობას, საველე ფურცლების გამოშვებას. სწორედ ამის შედეგია, რომ ზოგიერთი აგიტატორი კარგად ვერ ერკვევა მიმდინარე მომენტის ცალკეულ საკითხებში. სოფელ ორუზმანის სტალინის, სოფელ ყარაბულახის მოლოტოვის, სოფელ კამიშლოს კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობათა აგიტატორები ცუდად მუშაობენ, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები მტს-ის ზონაში ამას გულდამშვიდებით უყურებენ და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომებს არ იღებენ.

პარტიის დმანისის რაიკომი ყველა ზომას მიიღებს იმისათვის, რომ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა აიყვანოს ახალი ამოცანების დონეზე, ფართოდ გამოიყენოს პოლიტიკური აგიტაციის ყველა ფორმა საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის, უზრუნველყოს კოლმეურნეების, მექანიზატორების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, რაიონის ყველა მშრომელის დარაზმვა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

შ. ზედელაშვილი,

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის მდივანი.

არჩევნების აღსანიშნავად

ტყიბული

ტყიბულელმა მეშახტეებმა ასეთი ლოზუნგით დაიწყეს ახალი წლიდან მუშაობა:—მივცეთ სამშობლოს მეტი ქვანახშირი, უზრუნველვყოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად მეხუთე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულება!".

ახალი სამეურნეო წლის დასაწყისი დიდი წარმატებით აღინშნა მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც გასულ წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. მან ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალება 2 და 3 იანვარს 122,1 პროცენტით გაანაღდა.

ასეთივე კარგი მაჩვენებლებით აღინშნეს ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეები ლენინის სახელობისა და გელათის შახტებში. ლენინის სახელობის შახტში მიმდინარე სამეურნეო წელს საგრძნობლად იზრდება ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება. განსაკუთრებით გაფართოვდება ქვანახშირის მოპოვება ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის გამოყენებით. ამ მიზნით აქ დაიწყეს ორი ახალი მძლავრი ლავის მომზადება. იანვრის პირველი დღეებიდანვე შახტში მუშაობა დაიწყეს საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულმა მებრძოლებმა ჯ. ჯანელიძემ, გ. დანელიამ, ვ. ცხოვრებაშვილმა, ნ. ბუჩუკურმა და სხვ. თვითეული მათგანი პირად დავალებას 120-140 პროცენტით ანაღდებს. **(საკ. კორ.).**

საქართველო

საორთქლმავლო დეპოში სისტემატურად იზრდება მძიმეწონოსანთა რიცხვი. მემანქანემ კ. მიგინეიშვილმა შარშან 58 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და ნორმის გადამეტებით გადაზიდა 27.739 ტონა ტვირთი. კიდევ უფრო მეტი ტვირთი გადაზიდა მემანქანემ კ. დვალიშვილმა.

გასულ წელს მძიმეწონოსნებმა სხვადასხვა მიმართულებით 1.429 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს და ნორმის გადამეტებით 642.103 სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს.

ახალი წარმატებით აღინშნა არჩევნების აღსანიშნავი შეჯიბრებისა და ახალი წლის პირველი დღეები სახელოვანმა მემანქანემ ი. გოგიშვილმა, რომელმაც სამტრედიიდან ზაოუმში მძიმე წონის მატარებლით ნორმის გადამეტებით გადაიტანა 1.000 ტონა ტვირთი. ამ დღეს სამტრედიელმა მემანქანეებმა 4 მძიმე წონის მატარებლით ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 2.818 ტონა ტვირთი. **(საკ. კორ.).**

რუსთავი

მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს კოლექტივი, რომელმაც ვადამდე გაანაღდა გასული წლის საწარმოო გეგმა, ახალი სამეურნეო წლის დაწყებისთანავე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად ქარხანაში.

მილსაგლინავებმა იკისრეს 1955 წლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულონ და შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით გაადიდონ.

პირველივე დღეების მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ მილსაგლინავის უნარი შესწევთ თავიანთი სიტყვა საქმედ აქციონ. 5 დღის საწარმოო დავალება საამქრომ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა როგორც გლინვის, ისე პროდუქციის ჩაბარების მხრივ.

განსაკუთრებით დაფინაურდა დგან „400"-ის ცვლა, რომელსაც ოსტატი ს. ქუთელია ხელმძღვანელობს, უფროსმა მვალცავმა გ. გვრიტიშვილმა ოპერატორ ვ. დუდინას, გამხუერებელ შ. მანგოშვილისა და სხვების აქტიური დახმარებით პირველ ხუთდღიურში გეგმის გადამეტებით გაგლინა 300 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი მილი.

ასეთსავე მაჩვენებლებს აღწევენ ახალგაზრდა სპეციალისტის ე. სვეტლიცკის ცვლის მგლინავები. **(საკ. კორ.).**

ჟურნალების ფურცლებზე

„მეცნიერება და ტექნიკა"—ღირსებანი და ნაკლოვანებანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალის **„მეცნიერება და ტექნიკის"** საქმიანობა არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგნად რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. საქმიანი კრიტიკის დახმარებით ჟურნალის რედაქციამ გააუმჯობესა მუშაობა, დახვეწა და ჩამოაყალიბა ჟურნალის ძირითადი მიმართულება. „მეცნიერება და ტექნიკის" წარმატების საუკეთესო მაჩვენებელია მკითხველთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. მას ხალისით კითხულობენ არა მარტო მეცნიერი მუშაკები და ინჟინერ-ტექნიკოსები, არამედ აგრეთვე საშუალო სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, მასწავლებლები, მუშა-მოსამსახურეები.

ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავს წერილებს გამოჩენილი რუსი და საბჭოთა მეცნიერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ყურადღებით ეპყრობა მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების გაშუქებას.

1954 წლის ნომრებში ჟურნალმა მოათავსა ბირთვული ენერგიის გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილი საინტერესო სტატიები: „ატომის აგებულება და დედამიწის ქერქის შემადგენლობა", „ატომური და წყალბადის ბომბი", „ატომური ენერგია ადამიანს ემსახურება", „ატომური ენერგიით მოძუშავე ელექტროსადგური" და სხვ. პლანეტთა შორის მოგზაურობის საკითხებზე მოგვითხრობენ წერილები „რაკეტით მთვარეზე" და „ვარსკვლავებისაკენ". ინტერესით იკითხება ჟურნალში მარშან მოთავსებული წერილები „სტეროიდები", „ტელევიზიის თანამედროვე პრობლემები", „ნაწილაკები კოსმოსიდან", „მზის სრული დაბნელება 1954 წლის 30 ივნისს", „მიწის დენები", „როგორ დაიპყრეს ევერესტის მწვერვალი". კარგად აშუქებს ჟურნალი აგრეთვე რადიოსა და რადიოტექნიკის საკითხებს. ჟურნალი გარკვეულ მუშაობას ეწევა ტექნიკური დისციპლინის, ტექნიკურ მეცნიერებათა პოპულარიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა გამოქვეყნების შემდეგ ჟურნალმა გაძლიერა ყურადღება სოფლის მეურნეობის აქტუალური საკითხებისადმი.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას" კიდევ ესაჭიროება მრავალმხრივ გაუმჯობესება.

ჟურნალის უპირველესი დანიშნულებაა მიაწოდოს მკითხველს მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესახებ პოპულარული ენით დაწერილი, კარგად ილუსტრირებული ორიგინალური სტატიები. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სტატიები ჟურნალში შედარებით ნაკლებად იბეჭდება. 1954 წლის ნომრებში ასეთი ხასიათის სულ რაღაც 6-7 ორიგინალური წერილი იყო მოთავსებული. ყველა დანარჩენ შემთხვევაში „მეცნიერება და ტექნიკაში" დაბეჭდილია რუსული ჟურნალ-გაზეთებიდან თარგმნილი წერილები თავიანთი ილუსტრაციებით. ასეთი მასალების გადმობეჭდვა ზოგჯერ საჭირო და სასარგებლოც არის, მაგრამ ჟურნალის რედაქცია ამ ხერხს ზომაზე მეტად იყენებს. 1954 წლის ზოგიერთ ნომერში (№ № 3, 4, 6) ნათარგმნი სტატიების და შენიშვნების რაოდენობა 10-12-ს აღწევს.

ჟურნალი იშვიათად ათავსებს ცნობილი ქართველი მეცნიერების პოპულარულ წერილებს. „მეცნიერება და ტექნიკის" რედაქციამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტების და სხვა გამოჩენილი მეცნიერების აქტიურად ჩაბმა ჟურნალის მუშაობაში, გასული წლის ნომრებში მხოლოდ აკადემიის ორი წევრ-კორესპონდენტის წერილი იყო გამოქვეყნებული. მეტად მცირე იყო აგრეთვე პროფესორების, მეცნიერებათა დოქტორების წერილებისა და შენიშვნების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ ჟურნალში სათანამშრომლოდ ცნობილი მეცნიერების მიზიდვის მხრივ წინა წლებში უკეთესი მდგომარეობა იყო. რედაქციას მომავალში მოუხდება გარდაქმნას თავისი მუშაობა ამ მიმართულებით.

ჟურნალში ზოგჯერ გვხვდება გაუგებარი, არაპოპულარული ენით დაწერილი სტატიები. ზოგი მათგანი საინსტრუქციო ცირკულარს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე პოპულარულ წერილს. მაგალითად, ჟურნალის მეათე ნომერში პროფ. ვ. ვუჩეტიჩის წერილში „მანეურების წარმოების მოწინავე წესები და რკინიგზების სადგურების დაპროექტება" ვკითხულობთ:

„ტექნიკური ექსპლოატაციის წესების 363-ე პარაგრაფით დაშვებული უდიდესი სიჩქარე 25 კმ/ს — 7 მ/წ, როდესაც შემადგენლობა მოძრაობს ვაგონებით წინ, შემცირდება 16 კმ/ს—4,5 მ/წ სიჩქარემდე. მხოლოდ სამუხრუჭო ბუნაგზე ვაგონის ბოლოს ადგილზე, „ატომი" ან კიდევ იქვე: „ეს პროფილი წარმოადგენს შემდეგს: გამწევი ჩიხის მისაბჯენიდან პირველ ისრამდე, 720 მ სიგრძეზე, დამბარისხებელი პარკისაკენ, მას აქვს 2,5‰ ქანობი. პირველი ისრული გადამყვანის საწყისიდან 85 მ მანძილზე, ქანობი უდრის 3‰ შემდეგ საისრო ზონამდე 240 მ მანძილზე, ქანობია 3,5‰. აქედან ისრულ ზონაზე დამბარისხებელ პარკში შესაალი ყელის უკანასკნელი ისრული გადამყვანის საკონტროლო ზომამდე 180 მ მანძილზე, ქანობია 4‰" და ა. შ.

მოდით და გაიგეთ, რის თქმა უნდოდა ასეთი ენით დაწერილი წერილის ავტორს!

ზოგჯერ სტატიებში ჩართულია ისეთი გრაფიკები და ცხრილები, რომლებიც არასპეციალისტისათვის ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს და წერილის კითხვას აძნელებს (№ 3, გვ. 29; № 8, გვ. 10-12). ზოგი სამეცნიერო დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელის წერილი საანგარიშო მოხსენების სტილზეა დაწერილი. ასე ითქმის, მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის დირექტორის დოცენტ ბ. კაკაბავას წერილზე „ჩვენი შეხილეობის გადაუდებელი ამოცანები" (№ 7).

1954 წლიდან ჟურნალმა შემოიღო ახალი განყოფილება „თავისუფალ დროს". აქ ბევრი საყურადღებო ცნობა იბეჭდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ განყოფილებაში სპეციალურად ჟურნალისათვის დაწერილი ორიგინალური მასალა მეტად იშვიათად ქვეყნდება, მეტწილად მთელი მასალა სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან არის გადმოხეტქილი.

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა" კარგ მაგალითს იძლევა მკითხველთა შეკითხვებზე პასუხების მოთავსების მხრივ. ყოველ ნომერში შეხვდებით განყოფილებას „პასუხი მკითხველთა წერილებზე და შეკითხვებზე". პასუხი უმეტეს შემთხვევაში კვალიფიციური ავტორების მიერ არის შედგენილი. მაგრამ ჟურნალი ხშირად აქვეყნებს პასუხს, რომელსაც საერთო ინტერესი არ შეიძლება ჰქონდეს. ცხადია, სხვას არ დაინტერესებს, მაგალითად, პასუხი, გაცემული შეკითხვებზე, თუ რატომ დაზიანდა გ. წისქარიშვილის რადიომიმღები (№ 2), ან პასუხი „თქვენი შეკითხვა — არსებობს თუ არა რადიოტალღების გამბათილებელი რაიმე ხელსაწყო, — გაუგებარია" (3). მსგავსი პასუხი ხშირად გვხვდება, ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჟურნალის ამ განყოფილებას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. რედაქციამ, ცხადია, უნდა აწარმოოს მიწერ-მოწერა მკითხველებთან, როდესაც ამის საჭიროებაა, მაგრამ სავალდებულო როდია მთელი ამ მასალის ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნება.

მისასალმებელია რედაქციის ინიციატივა — ანკეტების საშუალებით გაეცნოს მკითხველთა მოთხოვნილებებს. სასარგებლო იქნებოდა აგრეთვე ჟურნალის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მკითხველთა კონფერენციების მოწყობა.

გ. სვანიძე,

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთა დასახმარებლად

ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორები სსრ კავშირში

ნაციონალური შემოსავლის ზრდა მთელი საზოგადოებრივი კვლავწარმოებისა და ქვეყნის ეკონომიური განვითარების შემაჯამებელი და განმაზოგადებელი მაჩვენებელია. მასში გამოხატულებას პოულობს საზოგადოების საწარმოო საქმიანობის შედეგი.

სოციალიზმის დროს ნაციონალური შემოსავალი სოციალისტური წარმოების მუშაკების მიერ შექმნილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ის ნაწილია, რომელშიც განხორციელებულია მოცემულ პერიოდში გაწეული ცოცხალი შრომა. ნაციონალური შემოსავალი მოცემულ პერიოდში (მაგალითად, ერთ წელიწადში) შექმნილი ახალი ღირებულებაა.

ნაციონალური შემოსავლის ბუნებას, მისი შექმნის ხასიათს და კლასებს შორის განაწილებას განსაზღვრავს წარმოების წესი, მოცემული საზოგადოების ძირითადი ეკონომიური კანონი.

კაპიტალიზმის დროს ნაციონალური შემოსავლის წარმოება ემყარება მშრომელი მასების ულმობელ ექსპლოატაციას, ხოლო მისი უდიდესი ნაწილის მითვისება ხდება გაბატონებული კლასების მიერ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპლოატატორული კლასები ითვისებენ ნაციონალური შემოსავლის 60 პროცენტს, საფრანგეთში — 70 პროცენტს, დასავლეთ გერმანიაში — 66 პროცენტს, ინგლისში — 60 პროცენტს და ა. შ.

კაპიტალის ქვეყნებში ნაციონალური შემოსავლის დიდ ნაწილს იყენებენ სამხედრო მიზნებისათვის, ახალი ომების მომზადებისა და გაჩაღებისათვის. აღნიშნული გარემოება იწვევს ნაციონალურ შემოსავალში მშრომელთა წილის შემდგომ დაცემას, მუშათა კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკების გაძლიერებას.

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების ნაციონალური შემოსავლისაგან როგორც წარმოების, ისე განაწილების მიხედვით. სსრ კავშირში ნაციონალური შემოსავლის დამახასიათებელია ის, რომ იგი არა მარტო იწარმოება ხალხის მიერ, არამედ ეკუთვნის ხალხს, მის სახელმწიფოს. იგი იქმნება სოციალისტურ საწარმოებში, რომლებისთვისაც უცხოა ეკონომიური კრიზისები, უმუშევრობა და სხვ. ამიტომ ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპი მეტად მაღალია. ნაციონალური შემოსავლის განაწილება ხდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების მიზნებისათვის.

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი იქმნება სოციალისტური სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვ.) დარგებში.

ნაციონალური შემოსავლის ზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი უზრუნველყოფს სოციალისტური სახალხო მეურნეობის, საწარმოო ძალების მძლავრ აღმავლობას, გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების მაღალ ტემპებს, ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის შემდგომ განმტკიცებას, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნების განხორციელებას.

სოციალისტურ საზოგადოებაში ნაციონალური შემოსავალი სისტემატურად და სწრაფად იზრდება, რის საფუძველსაც წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი აღმავლობა. მაგალითად, ნაციონალურმა შემოსავალმა (შესადარ ფასებში) 1940 წელს 1913 წლის დონეს გადააჭარბა 6,1-ჯერ, 1950 წელს — 10-ჯერ, ხოლო 1953 წელს — 13-ჯერ. 1930-53 წლებში ნაციონალური შემოსავალი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიზარდა 2,3-ჯერ, ხოლო იმავე პერიოდში სსრ კავშირში 8-ჯერ და უფრო მეტად, მიუხედავად იმ ზარალისა, რაც ჩვენს სახალხო მეურნეობას 1941-1945 წლების ომმა მიაყენა.

ნაციონალური შემოსავლის ზრდის მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორია შრომის ნაყოფიერების ამაღლება, რაც ადიდებს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს და ნაციონალურ შემოსავალს. შრომის ნაყოფიერების ზრდა გულისხმობს, რომ პროდუქციის ერთეულზე მცირდება ცოცხალი შრომის დანახარჯები, იზრდება ნაციონალური შემოსავლის ფიზიკური მოცულობა და ამ საფუძველზე ფართოვდება დაგროვებისა და სახალხო მოხმარების ფონდი.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა წარმოების სოციალისტური წესი, წარმოების ყველა დარგში განუხრელად იზრდება შრომის ნაყოფიერება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებს, რადგან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების ზრდა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. იგი პროდუქციის სიუხვის შექმნის მთავარი გზაა.

შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოადგენს რა ნაციონალური შემოსავლის გადიდების გადამწყვეტ ფაქტორს, განპირობებულია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებით. საქმე ის არის, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა გულისხმობს პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების შემცირებას და პროდუქციის სიუხვის მიღწევას, ხოლო სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნაა მაქსიმალურად დაკმაყოფილოთ მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

საბჭოთა ადამიანები მუშაობენ თავიანთთვის, თავიანთი სახელმწიფოსათვის, თავიანთი სამშობლოსათვის. სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების ურღვევი ერთიანობა სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველია.

სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების ზრდა სულ სხვა წესებითა და მეთოდებით ხდება, ვიდრე კაპიტალიზმის დროს. ჩვენში შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორებს განსაზღვრავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი.

სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორებია: წარმოების პროცესში მოწინავე ტექნიკის დანერგვა, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, კვალიფიციური მუშახელის გადიდება წარმოებაში, მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება, შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონის მოთხოვნების განხორციელება, სოციალისტური შეჯიბრების გაშლა და სხვ.

სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების ზრდა დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდას ნაციონალური შემოსავლის გადიდებაში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ პირველ ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე გადიდდა ნაციონალური შემოსავალი 56.5 პროცენტით, მეორე ხუთწლედში — 67.3 პროცენტით, მეოთხე ხუთწლედში — 80 პროცენტით.

ნაციონალური შემოსავლის ზრდისა და სოციალისტური ეკონომიკის გაუხრელი აღმავლობისათვის საჭიროა ყველა ღონისძიებით გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნიკა ელექტროფიკაციის ბაზაზე, ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, გავატაროთ კომპლექსური მექანიზაცია წარმოების ყველა დარგში, დავიცვათ წარმოების ტექნოლოგიური დისციპლინა, მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების სისტემატურ გადიდებას.

• • •

ნაციონალური შემოსავლის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია მატერიალური წარმოების პროცესში ჩაბმულთა საერთო მასის გადიდება. რაც უფრო მეტი მუშაკი მონაწილეობს წარმოებაში, მით უფრო მეტი მატერიალური დოვლათი და ახალი ღირებულება, უფრო მეტი ნაციონალური შემოსავალი იქმნება. მატერიალური დოვლათი, ნაციონალური შემოსავალი წარმოების პროცესში იქმნება. ამიტომ გასაგებია, რომ მატერიალური წარმოების პროცესში მუშაკთა დიდი რაოდენობა ნაციონალური შემოსავლის გადიდების ერთ-ერთი ფაქტორია.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მუშათა კლასის კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშათა კლასის შევსებას კვალიფიციური კადრებით, მუშათა კლასის ტექნიკურ-კულტურული დონის ამაღლებას ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დონემდე. კვალიფიციური შრომა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მეტ ახალ ღირებულებას, ნაციონალურ შემოსავალს ქმნის, ვიდრე არაკვალიფიციური შრომა.

ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში მონაწილეობენ არა მარტო ფიზიკური შრომის მუშაკები, რომლებიც უშუალოდ, თავიანთი შრომით ქმნიან მატერიალურ დოვლათს, არამედ წარმოების პროცესში დასაქმებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიც. წარმოებისა და შრომის სწორ ორგანიზაციასა და უნარიან ხელმძღვანელობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალების განვითარებას თან სდევს წარმოების პროცესის გართულება, რაც მოითხოვს კვალიფიციურ ხელმძღვანელობას, მმართველობის გაუმჯობესებას. წარმოების მუშაკთა კოლექტივი კარგი ხელმძღვანელობის, უნარიანი მართვის შედეგად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ქმნის გაცილებით მეტ მატერიალურ დოვლათსა და ნაციონალურ შემოსავალს, ვიდრე საწარმო, სადაც წარმოებისა და შრომის

წერილები რედაქციას

ქობულეთში საჭიროა პურსაცხობი ქარხნის აშენება

ქობულეთი საკავშირო მნიშვნელობის კურორტია. ზაფხულობით აქ ათასობით საბჭოთა ადამიანი მოდის დასასვენებლად ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან, ბევრი ორგანიზებულად და ბევრიც არაორგანიზებულად. ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობაც საკმაოდ დიდია.

ამავე დროს ქობულეთში არის ერთი პატარა პურსაცხობი ქარხანა, რომელის ამძლავრე მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

აუცილებლად საჭიროა ქობულეთში აშენდეს მოზრდილი პურსაცხობი ქარხანა. ეს საკითხი დროულად უნდა მოგვაროს აჭარპურკომბინატის ხელმძღვანელობამ.

ნ. ბოლქვაძე,

ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის თჯრობის განყოფილების გამგე.

ელექტროენერგიას ვერ იყენებენ

საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევის ნგელსის სახელობის კოლმეურნეობის ევრეებმა 1951 წელს დაამთავრეს ხოდაბნის სარწყავ არხზე 170-ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რაზეც მილიონ მანეთამდე დაინარჯა. ელექტროსადგურს მომსახურება უნდა გაეწია საირხის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლებისათვის, აგრეთვე ელექტროფიცირებული ექნებოდა მეცხოველეობის ფერმები, სოფლის საავადმყოფო, სამკითხველოები, საკოლმეურნეო კლუბები.

ნაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, ელექტროსადგური სანახევროდაც არ არის დატვირთული. მერჯევეში 478 კოლმეურნის ოჯახიდან დღემდე ელექტროფიცირებულია მხოლოდ 223 ოჯახი, სოფლების საირხისა და ჭორვილის ელექტროფიკაცია კი დღემდე არ დაწყებულა, რის გამოც კოლმეურნეები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციას მეტი ყურადღება უნდა მიექციონ საირხის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა.

შ. კურტანიძე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

წალენჯიხის რაიონის სოფელ ფაფულანის ბიბლიოთეკა ცუდად მუშაობს, ბიბლიოთეკის გამგე ქარდავა დაუდევრობას იჩენს, — სწერდა ოდაქციას სოფლკორი.

წერილი ზომების მისაღებად წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა. როგორც რაისაბჭოს აღმასკომი იტყობინება, წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ბიბლიოთეკის გამგე ქარდავა მოხსნილია თანამდებობიდან.

მეჯი ყურადღება დახურული გრუნტის მებოსტნეობას

გარეთ ზამთარია, ზოგჯერ ყინავს, მაგრამ აქ ნამდვილი გაზაფხულის პირობები შეუქმნიათ, სინდიყის სვეტი პლუს ოც გრადუსს უჩვენებს. სათბურგიგანტის — ბოსტნეულის ამ უზარმაზარი ფაბრიკის კორპუსებში შესვლისთანავე თვალწინ გადაგეშლებათ საუცხოო სანახაობა: ზოგი მკენარე ჰყვავის, ზოგი მწვანე ნაყოფით დახუნძლულა და ზოგიც მწიფე ნაყოფს დაუმშვენებია. ირგვლივ საამო სურნელს აფრქვევენ ნარინაირი ყვავილები, რომლებისთვისაც სათბურის გრძელი, ფართო გასასვლელები მიუჩენიათ.

ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სათბურის მშენებლობა ორ მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა. მისი მოცულობა ხუთი ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს და ერთ მოსავალზე 30 ტონამდე ბოსტნეულს მისცემს თბილისის მოსახლეობას.

გლდანის კოლმეურნეობაშიც უკვე დამთავრდა 1.200 კვადრატული მეტრი მოცულობის სათბურის მშენებლობა. ასეთივე მოცულობის სათბურების მშენებლობა მიმდინარეობს დიღმისა და ავჭალის კოლმეურნეობებში.

აი დიღმის კოლმეურნეობის სათბურის მშენებლობაზე ვართ. ხალხის სიმრავლეა აქ. მშენებლები ეზოს კეთილმოწყობაზე, სათბურის შიდასასვლელების მოასფალტებაზე და დანადგარების მონტაჟზე მუშაობენ. საქმე გასჩენიათ მებოსტნეებსაც. ისინი თავს დასტრიალებენ უკვე დამთავრებულ სექციებში მოთავსებულ პამიდორის მწკრივებს.

აშკარაა, რომ შეფებს — თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის საგზაო მშენებლობის სამმართველოს მუშაკებს და კოლმეურნეობის გამგეობას ჩამორჩენიათ მშენებლობა, რომელიც გეგმით გასული წლის 15 ოქტომბრისათვის უნდა ყოფილიყო მზად. უფრო ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სათბურის მშენებლობაზე, რომელიც იმავე ვადისათვის უნდა დამთავრებულიყო. ორივე მშენებლობაზე დაუშვებლად ჭიანურდება სამონტაჟო სამუშაოები, ავჭალის სათბურში კი დაწყებული არ არის ელექტროგაყვანილობის მოწყობა. აქ არ გააჩნიათ ზოგიერთი სამშენებლო და დამხმარე მასალა, აგრეთვე დანადგარები. ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა, შეფები და ზოგიერთი ორგანიზაციები რომ თავიდანვე ქმედითად დახმარებოდნენ კოლმეურნეობებს მშენებლობაში.

დიღმისა და ავჭალის კოლმეურნეობებში სათბურების მშენებლობის დადგენილი ვადების გადაწევამ კოლმეურნეობებს გარკვეული მატერიალური ზარალიც მიაყენა. მათ კვალსათბურებში გამოყვანილი პამიდორისა და კიტრის ათასობით ჩითილი გადაუბერდათ და გაუფუჭდათ. უფრო მეტი. დიღმის კოლმეურნეობის სათბურში, იმის გამო, რომ წყლის ნაცვლად ორთქლით გათბობას იყენებენ, ვერ შეძლეს ნორმალური სითბოს დამყარება. ეს კი დამღუპველად მოქმედებს მცენარეებზე — მათ ნაყოფი სცვივათ.

სათბურების მაღალნაყოფიერად გამოყენებას და მცენარეთა ნორმალურ ზრდას ხელს უშლის ზოგიერთი არსებითი დეტალი, მათ შორის ელექტროდენის გამორთვა, რასაც ავჭალის დაუშთავრებელ მშენებლობაზე ძალიან ხშირად ვხვდებით, ხოლო ორთაჭალაში — პერიოდულად. საჭიროა კი გარემოება კარგად გაითვალისწინონ „საქენერგოს“ და „თელასის“ ხელმძღვანელებმა.

როგორც ყველგან, საკვალსათბურე და სასათბურე მეურნეობაშიც საქმის წარმატებას წყვეტენ კადრები, ადამიანები. მაგრამ კოლმეურნეობები განიცდიან ისეთი ვიწრო სპეციალობის მუშაკთა ნაკლებობას, როგორიც არიან ცეცხლფარეშები. საკმარისია ითქვას, რომ მარტო დიღმისა და ორთაჭალის კოლმეურნეობებში 7 დაქირავებული ცეცხლფარეში მუშაობს, რაც ამ კოლმეურნეობებს ყოველთვიურად ათასობით მანეთი უჯდებათ. კარგი იქნება, თუ სათანადო ორგანიზაციები დაინტერესდებიან და მოაწყობენ კურსებს სასათბურო მეურნეობისათვის ვიწრო სპეციალობის მუშაკთა მოსამზადებლად, აგრეთვე მებოსტნეების გადასამზადებლად.

კოლმეურნეობებს აქვთ კვალსათბურების მშენებლობის ხელსაყრელი პირობებიც. ზოგან (მაგალითად, ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში) კარგადაც იყენებენ ამ პირობებს. აქ ოთხი ათასამდე კვალსათბურის ჩარჩო აქვთ, რომლებშიც გამოჰყავთ სხვადასხვა სახის დიდძალი ბოსტნეული.

გასულ წელს რაიონის 12 კოლმეურნეობაში პირველად მოაწყეს საშემოდგომოდ კვალსათბურები — დაამზადეს 10 ათასამდე ჩარჩო, რომლებშიც ძირითადად საადრეო ბოსტნეული დათესეს. ამან საშუალება მისცა კოლმეურნეობებს უკვე დეკემბერსა და იანვარში თბილისის მშრომელებისათვის მიეწოდებინათ მწვანილის ფართო ასორტიმენტი. სულ მალე ბაზარზე გასაყიდად გამოიტანენ კვალსათბურებში გამოყვანილ ტარხუნასაც. მაგრამ სასათბურე და საკვალსათბურე მეურნეობის შემდგომ წინსვლას აფერხებს ფონდირებული ხე-ტყისა და მინის უქონლობა.

დიდია კოლმეურნეობებში საკვალსათბურე და სასათბურე მეურნეობის განვითარების პერსპექტივები. ორთაჭალის კოლმეურნეობაში სასათბურე მეურნეობის მოცულობა 1957 წლისათვის ერთიორად გაიზრდება და ერთ ჰექტარს მიაღწევს. სათბურ-გიგანტის გარშემო მოეწყობა კვალსათბურის სამი ათასი ჩარჩო; მომავალი წლისათვის საშუალო მოცულობის სათბურები აშენდება ლილოსა და მარტყოფის კოლმეურნეობებში. გაიზრდება კვალსათბურის ჩარჩოების რიცხვი.

* * *

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ერთგვარი ნაკლოვანებების მიუხედავად, გარეუბნის რაიონში გარკვეული ნაბიჯები გადადგეს დახურული გრუნტის მებოსტნეობის განვითარებისათვის, რაზეც ყურადღება გაამახვილა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა. მაგრამ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს, საოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და მტს-ებს ყველა საშუალება აქვთ უახლოეს ხანში კიდევ უფრო წინ წასწიონ ეს საქმე.

გ. ზუკაკიშვილი,
შ. ჯოჯუა.

მშენებლობის საკითხებზე

მოუქნელი მშენებლები თუ ბიუროკრატიული გულგრილი დამკვეთები

გვიყვარს თბილისი, როგორც შვილს დედა, და გულს გვიხარებს მისი ხარაჩოების სიმრავლე — ნიშანი ჩვენი დედაქალაქის გაშენებისა და ზრდისა. შენდება ახალი უბნები, ძვირფასი არქიტექტურული ნაგებობებით მშვენდება ქალაქი, იზრდება საცხოვრებელი ფონდი, თანდათან უფრო მიმზიდველი და საამური ხდება ცხოვრება, შრომა, შემოქმედება.

მაგრამ არ გვიხარებენ გულს აქა-იქ დაძველებული, ობმოკიდებული, მყუდროებით მოცული ხარაჩოები, რომლებიც ადამიანს კითხვას აღუძრავენ: — რით აიხსნება, რომ ჩქაროსნული მშენებლობის ამ ეპოქაში ასე შემოსძველებიათ მშენებლებს ხარაჩოები, მათი მოუქნელობით, თუ დამკვეთი სამეურნეო ორგანიზაციების გულგრილობით?

დაუძველდა ხარაჩო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული სახლის მშენებლობას მელიქიშვილის ქუჩაზე. 1949 წელს შეუდგნენ ამ სახლის აგებას და ჯერ კედლების ამოყვანა და მპირკეთებაც კი არ არის სავსებით დამთავრებული. მშენებლობის ხელმძღვანელი — თბილისმშენის მეორე სამშენებლო სამმართველოს უფროსი ინჟინერი ვ. ბალავაძე ამბობს:

— მშენებლობის გაჭიანურების მიზეზი ის არის, რომ დამკვეთი მხარე, ე. ი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილება (განყოფილების უფროსი ლ. ბოჭორიშვილი) საჭირო რაოდენობით ვერ გვაწვდის საშენ მასალებს... თანაც მაინცდამაინც დიდად როდი გვაწუხებენ, რომ ეს მშენებლობა ასე გაჭიანურეთ, იშვიათად მოდიან, კონტროლს მათი მხრივ ვერა ვგრძნობთ. ერთი სიტყვით...

ერთი სიტყვით, თუ გულითადად გამოელაპარაკება კაცი მშენებლებს და ნათქვამის დამტკიცებას მოსთხოვს საბუთებით, აღმოჩნდება, რომ დამკვეთ ორგანიზაციას მართლაც იშვიათად ახსენდება, რომ თბილისმშენის მეორე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი სწორედ მათთვის აშენებს დიდ სახლს მელიქიშვილის ქუჩაზე, რომ 1954 წელს მშენებლობა უნდა დაეფინანსებინათ 4.200.000 მანეთით, აქედან 2 მილიონი მანეთის საშენი მასალები უნდა მიეწოდებინათ სახლის აგების დასამთავრებლად და ა. შ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ მშენებლებს უმნიშვნელო რაოდენობით მიაწოდა საშენი მასალები. არ მიუწოდებია არცერთი კუბმეტრი დასახერხი ხე-ტყე, 500 ტონა ცემენტის ნაცვლად ძლივს მოახერხა 40 ტონის მიწოდება, 45 ტონა საარმატურო რკინის ნაცვლად — 22 ტონა, სრულებით არ მიუწოდებია სახურავი თუნუქი, ლურსმანი, მუხის მასალა, საარმატურო მავთული და ა. შ.

მთავარი ის არის, რომ სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილება არც იმით დაინტერესებულა, თუ მშენებლებმა როგორ გამოიყენეს ან გამოიყენეს თუ არა მათი ობიექტის მშენებლობაზე ის მასალები, რაც, მართალია, უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ მაინც მიიღეს დამკვეთი ორგანიზაციისაგან ხელშეკრულების თანახმად.

თუ საკითხს გულდასმით გავეცნობით, არც მშენებლები აღმოჩნდებიან ცამდე მართალი. ხე-ტყე არ მოგვცეს, ცემენტი არ მოგვცესო, ამბობენ და ამით იმართლებენ თავს. სხვათა შორის, არც ლურსმანი მიუციათ, მაგრამ მშენებლებმა გამონახეს მაინც 1 ტონაზე მეტი ლურსმანი და გამოიყენეს. მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა დიდი ქალაქების მშენებლობებზე ხე-ტყის მასალას ახლა წარმატებით სცვლიან რკინაბეტონის კონსტრუქციებით, სხვა საშენი მასალების ოსტატური გამოყენებით. რატომ არ შეეცადნენ თბილისმშენის მეორე სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელები ესარგებლათ მოწინავე მშენებელთა გამოცდილებით რატომ თვითონ არ მიდიოდნენ უფრო ხშირად სამინისტროში და არ აწუხებდნენ ამ სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას? ამ სახლის მშენებლობა ამ ხავშვის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელსაც ორი ძიძა უვლიდა.

მშენებელთა ხელმძღვანელების მოუქნელობა და დამკვეთების გულგრილობა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული სახლის გაჭიანურების მთავარი მიზეზია.

* * *

ექვს წელიწადზე მეტია, რაც საბურთალოზე შეუდგნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსის მშენებლობას. ეს არის დიდი მასშტაბის მშენებლობა, რომელიც სახელმწიფოს ას მილიონ მანეთზე მეტი დაუჯდება. აკადემიის შენობათა კომპლექსსა უნდა დაამშვენოს თბილისი, ხელი შეუწყოს ჩვენს მეცნიერებს გააჩაღონ უფრო ნაყოფიერი, შემოქმედებითი მუშაობა, წარმატებით გადაწყვიტონ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მთელი რიგი პრობლემები.

მაგრამ საკითხავია, როდის უნდა დამთავრონ 1948 წელს დაწყებული ამ კომპლექსის მშენებლობა, თუ მშენებლებს (ტრესტ საქმშენის მეორე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივს, რომელსაც ინჟინერი ნ. ზუკაკიშვილი ხელმძღვანელობს) 1948 წელს გამოუყვეს მხოლოდ 1 მილიონი მანეთი, 1949 წელს — 462.000 მანეთი, შემდგომ წელს — 840 ათასი მანეთი, 1951 წელს — კვლავ ერთი მილიონი მანეთი, 1952 წელს — 903 ათასი მანეთი, 1953 წელს — 1,5 მილიონი მანეთი, ხოლო 1954 წელს — 1.220 ათასი მანეთი. თუ ასე გაგრძელდა, ცხადია ამ კომპლექსის მშენებლობა მრავალ ათეულ წელს გასტანს, მის დამთავრებას ჩვენი თაობა საეჭვოა მოესწროს. საქმე ის არის, რომ დაფინანსების ასეთ პირობებში მარტო პირველი რიგის მშენებლობაც კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში არ დამთავრდება, ვინაიდან საამისოდ თითქმის 15 მილიონ მანეთამდე თანხაა საჭირო, ხოლო ჯერჯერობით ამის ნახევარიც არ არის ათვისებული. ეს მაშინ, როცა აკადემიის კომპლექსის პირველი რიგის მშენებლობა 1954 წლის ბოლოსათვის უნდა დამთავრებულიყო. მეორე რიგის მშენებლობისათვის კი ჯერ საპროექტო დოკუმენტაციაც არ არის მზად.

აკადემიის კომპლექსის მშენებლებს დიდი და ფართო პერსპექტივა არც წელს აქვთ. 1955 წელს მათ 2.500 ათასი მანეთი გამოუყვეს, მაგრამ ეს თანხა მხოლოდ იმისათვის იქნება საჭირო, რომ როგორმე თავი მოაბან 1953 და 1954 წლიდან გადმოყოლილ სამუშაოებს, ახალი ობიექტების მშენებლობის დაწყებისაგან კი თავი უნდა შეიკავონ.

აკადემიის კომპლექსის მშენებლობასადმი გულგრილობა არც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელებისთვის არის სასახელო და არც ტრესტ საქმშენის კოლექტივისათვის. უნდა გამოჩნდეს გულშემატკივარი ორგანიზაცია, რომელიც ხელს მოჰკიდებს და გათვალისწინებულ დროში დაამთავრებს ამ მშენებლობას. ახლა კი აკადემიის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაშიც, რომლის ხელმძღვანელობა დიდი ხანი არ არის შეცვალეს, და საქმშენშიც ათას საბუთს გადმოალაგებენ თავის გასამართლებლად, ჩვენ რა ვქნათ, რაც ჩვენგან არის დამოკიდებული, ყველაფერს ვაკეთებთო.

* * *

საბურთალოზე თბილისმშენმა დაახლოებით ერთი წლის წინათ საცხოვრებელ სახლთა კომპლექსის მშენებლობა დაიწყო. ეს მშენებლობა ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით მოაწყეს. პირველ ხანებში საქმე მართლაც კარგად წარმართეს, მაგრამ შემდგომ ვეღარ შეძლეს აღებული ტემპის შენარჩუნება, შემოაკლდათ ხან ერთი, ხან მეორე საშენი მასალა, ვერ გაართვეს თავი ორგანიზაციულ სირთულეს და ჩქაროსნული მშენებლობა გაჭიანურდა.

ახლაც მშენებლებს ხელი ეშლებათ კარ-ფანჯრის ჩარჩოების უქონლობით, უცემენტობით, ხე-ტყის მასალის სიმცირით.

საცხოვრებელი სახლების კომპლექსი ხუთი კორპუსისაგან შედგება. მათგან სამი კორპუსი მშენებლებს მობრაწადრეთა ჩასასახლებლად უნდა გაემზადებინათ 1954 წლის მეოთხე კვარტალის ბოლოსათვის მაინც, მაგრამ ვითარება ისეთია, რომ მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა პირველი მაისისთვისაც კი საეჭვო ხდება. მეხუთე კორპუსის კედლების ამოყვანას მშენებლები მხოლოდ ახლახან შეუდგნენ.

რა უშლის ხელს მშენებლებს ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით მუშაობაში? პირველი ხელშემშლელი მიზეზია დამხმარე საწარმოების დაჭუცმაცება, რაც მშენებლებს იმის საშუალებას არ აძლევს, რომ ქარხნებიდან შეუფერხებლად მიიღონ საჭირო სამშენებლო დეტალები. რკინაბეტონის კონსტრუქციებს საქმშენი მეტად განსაზღვრული რაოდენობით უშვებს, კარ-ფანჯრის ჩარჩოებს აგრეთვე არასაკმარო რაოდენობით ამზადებს თბილისმშენის მეორე სამშენებლო ქარხანა. საჭიროა ამ ქარხნების, საქმშენისა და თბილისმშენის დამხმარე ინდუსტრიული საწარმოებს გაერთიანება, გამსხვილება, ორივე სამშენებლო ორგანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა კონცენტრაცია და სამშენებლო დეტალების დიდი მასშტაბით გამოშვების უზრუნველყოფა.

თბილისში ჯერაც არ არის მოწესრიგებული მშენებელთათვის მეტად საჭირო ისეთი არადეფიციტური მასალის მომარაგება, როგორიც არის ქვიშაბრეში (ინერტული მასალა). საჭიროა მოეწყოს ქალაქის მახლობლად მექანიზებული დიდი კარიერი, რომელიც გარეცხილი ინერტული მასალით მოამარაგებს ყველა მშენებლობას. მტკვარზე მექანიზებული კარიერის მოწყობით და გარეცხილი ინერტული მასალით მომარაგების საქმის მოწესრიგებით მშენებლებს საშუალება მიეცემათ დიდი რაოდენობით დაზოგონ ცემენტი, რომლის ნაკლებობას ახლა თითქმის ყველა მშენებლობაზე მწვავედ განიცდიან.

* * *

თბილისში ბევრ მშენებლობას დაუძველდა ხარაჩოები. გოგებაშვილის ქუჩაზე ლატფონდი მწერალთათვის აშენებს უზარმაზარ საცხოვრებელ სახლს, რომელიც 1954 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ არც მშენებლებმა (საქმშენის მეოთხე სამშენებლო სამმართველო) იციან და არც ლიტფონდის ხელმძღვანელებმა, ნამდვილად როდის დაამთავრებენ მას.

რუსთაველის პროსპექტისა და მოსკოვის ქუჩის კუთხეში შახტმშენმა დიდი ხნის წინათ დაიწყო საქნახშირის სახლის ფლიგელის აგება. დაიწყო და... თავი მიანება. არავინ იცის, როდის გააახლებენ ამ მშენებლობას.

კიდევ არიან ჩვენში მშენებლობის მოუქნელი ხელმძღვანელები და დამკვეთი სამეურნეო ორგანიზაციების გულგრილი წარმომადგენლები.

ზ. ჯამასაშვილი,
დ. ამირანიძე.

ფართოდ დავნერგოთ მეცხოველეობაში შრომაზევად სამუშაოთა პროცესების ელექტროფიკაცია და მექანიზაცია

ეკონომიკის საკითხებზე

...ეფექტიანობა

...ნარმოების შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის, მივაღწიოთ საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას, შრომის იარაღების (დაზგები, მანქანები, მექანიზმები და სხვ.) უკეთ გამოყენებას, შრომის საგნების (ნედლეული, მასალები, სათბობი და სხვ.) დაზოგვას, ფულადი საშუალებების ეკონომიას. სოციალისტური წყობილება მსოფლიოში ყველაზე რაციონალური წყობილებაა. იგი შესაძლებლობას იძლევა მთლიანად ამოვიყენოთ წარმოების ყველა ელემენტი — სამუშაო ძალა, შრომის იარაღები, შრომის საგნები.

რაც უფრო რაციონალურად გამოვიყენებთ საწარმოო რესურსებს მთელ ეროვნულ მეურნეობაში, მით უფრო ადვილ წარმატებას მოვიპოვებთ კომუნიზმის მშენებლობაში.

წარმოების მატერიალური ელემენტების ბაზაზე, როგორც ნაციონალური შემოსავლის გადიდების ერთ-ერთი ფაქტორი, მომჭირნეობის რეჟიმი დაკავშირებულია სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიური კანონის მოქმედებასთან. ამ კანონის მოქმედება გამორიცხავს წარმოების ნარჩენას, მატერიალურ ფასეულობათა ირაციონალურ განადგურებას.

სსრ კავშირში მომჭირნეობის რეჟიმის გატარების უმნიშვნელოვანესი შეგვიძია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. იგი შესაძლებლობას იძლევა შევამციროთ საქონლის ფასები. ...ეფარებიან რა სოციალისტური წარმოების განუხრელ ზრდასა და სრულყოფას უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და თვითღირებულების შემცირებას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ საცალო ფასების ...ისტემატურ შემცირებას. ეს იწვევს საბჭოთა ფულის მყიდველობითი უნარისა და მშრომელთა რეალური ხელფასის ზრდას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

კომუნისტური პარტია, გენიალური ...ელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას.

ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ყურადღებას ამახვილებდა ფულის მომჭირნეობით ხარჯვის, მეურნეობის რაციონალურად წარმართვის აუცილებლობაზე და ამ საკითხს უკავშირებდა მანქანური ინდუსტრიის განვითარებას.

ვ. ი. ლენინი სტატიაში „უმჯობესია ცოტა და კარგი“ ეხებოდა რა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს აპარატის მუშაობას განუმარტავდა საბჭოთა ადამიანებს, რომ „თუ ჩვენ მუშათა კლასს შევუნარჩუნებთ ხელმძღვანელობას გლეხობის მიმართ, საშუალება მოგვეცემა ჩვენს სახელმწიფოში მეურნეობის უდიდესი და უდიდესი ეკონომიით მივაღწიოთ იმას, რომ ყოველგვარი სულ მცირე დანაზოგი გადავდოთ ჩვენი მსხვილი მანქანური ინდუსტრიის გასავითარებლად, ელექტროფიკაციისა და ჰიდროტორფის გასავითარებლად, ვოლხოვმშენის დასამთავრებლად და სხვ.“ (ვ. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 593).

მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დღეს სოციალისტური წარმოების აღმავლობის, სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის მიღწევის, მათი ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის ერთეულზე საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების შემცირების საქმეში. რაც უფრო ნაკლები საზოგადოებრივი შრომა დაიხარჯება პროდუქციის წარმოებაზე და გაიზრდება პროდუქციის რაოდენობა, სოციალისტურ საზოგადოებას მით უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება გაზარდოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მასა, ნაციონალური შემოსავალი და უფრო ფართოდ დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილებანი. ყოველი საბჭოთა მოქალაქე დაინტერესებული უნდა იყოს გაატაროს მომჭირნეობის რეჟიმი, იბრძოლოს სახელმწიფოებრივი სახსრების უყაირათოდ ხარჯვის წინააღმდეგ.

ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „საჭიროა, რომ თვითეული მუშა, თვითეული პატიოსანი გლეხი ეხმარებოდეს პარტიასა და მთავრობას მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებაში, სახელმწიფო რეზერვების დატაცებასთან და დაქსაქსვასთან ბრძოლაში, ქურდებისა და თაღლითების გაძევებაში, რა ნიღაბსაც უნდა იფარებდნენ ისინი, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებასა და გაიაფებაში“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. 8, გვ. 154).

წარმოების მატერიალური ელემენტების მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სკკპ XIX ყრილობამ და აღნიშნა, რომ აუცილებელია რაციონალურად გამოვიყენოთ საწარმოო რესურსები, ყაირათიანად წარვმართოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობა.

* * *

ემყარებიან რა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებს, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მაჩვენებელია განუწყვეტელი ზრდა ნაციონალური შემოსავლისა, რომელიც სსრ კავშირში მშრომელთა კუთვნილებას წარმოადგენს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ახორციელებენ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებებს, ზრდიან მუშაკთა შრომის შედეგებით მატერიალურ დაინტერესებას. წარმოების მუშაკთა პირადი მატერიალური დაინტერესების პრინციპის რეალურად გატარებას უზრუნველყოფს ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელი გადიდება. ამ საფუძველზე კი იზრდება მშრომელთა შემოსავალი.

საბჭოთა ხალხის გმირული შრომა მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების მძლავრ აღმავლობას, სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებას, ნაციონალური შემოსავლის სისტემატურად გადიდებას და მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

დოცენტი ს. ინწკირველი.

მშენებლობის საკითხებზე

...ულგრილი დამკვეთები

...ერებელ სახლთა კომპლექსის მშენებლობა დაიწყო. ეს მშენებლობა ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით მოაწყეს. პირველ ხანებში საქმე მართლაც კარგად წარმართეს, მაგრამ შემდგომ ვეღარ შეძლეს აღებული ტემპის შენარჩუნება, შემოაკლდათ ხან ერთი, ხან მეორე საშენი მასალა, ვერ გაართვეს თავი ორგანიზაციულ სირთულეს და ჩქაროსნული მშენებლობა გაჭიანურდა.

ახლაც მშენებლებს ხელი ეშლებათ კარ-ფანჯრის ჩარჩოების უქონლობით, უცემენტობით, ხე-ტყის მასალის სიმცირით.

საცხოვრებელი სახლების კომპლექსი ხუთი კორპუსისაგან შედგება. მათგან სამი კორპუსი მშენებლებს მობრაწადრეთა ჩასასახლებლად უნდა გაემზადებინათ 1954 წლის მეოთხე კვარტალის ბოლოსათვის მაინც, მაგრამ ვითარება ისეთია, რომ მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა პირველი მაისისთვისაც კი საეჭვო ხდება. მეხუთე კორპუსის კედლების ამოყვანას მშენებლები მხოლოდ ახლახან შეუდგნენ.

რა უშლის ხელს მშენებლებს ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით მუშაობაში? პირველი ხელშემშლელი მიზეზია დამხმარე საწარმოების დაჭუცმაცება, რაც მშენებლებს იმის საშუალებას არ აძლევს, რომ ქარხნებიდან შეუფერხებლად მიიღონ საჭირო სამშენებლო დეტალები. რკინაბეტონის კონსტრუქციებს საქმშენი მეტად განსაზღვრული რაოდენობით უშვებს, კარ-ფანჯრის ჩარჩოებს აგრეთვე არასაკმარო რაოდენობით ამზადებს თბილისმშენის მეორე სამშენებლო ქარხანა. საჭიროა ამ ქარხნების, საქმშენისა და თბილისმშენის დამხმარე ინდუსტრიული საწარმოებს გაერთიანება, გამსხვილება, ორივე სამშენებლო ორგანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა კონცენტრაცია და სამშენებლო დეტალების დიდი მასშტაბით გამოშვების უზრუნველყოფა.

თბილისში ჯერაც არ არის მოწესრიგებული მშენებელთათვის მეტად საჭირო ისეთი არადეფიციტური მასალის მომარაგება, როგორიც არის ქვიშაბრეში (ინერტული მასალა). საჭიროა მოეწყოს ქალაქის მახლობლად მექანიზებული დიდი კარიერი, რომელიც გარეცხილი ინერტული მასალით მოამარაგებს ყველა მშენებლობას. მტკვარზე მექანიზებული კარიერის მოწყობით და გარეცხილი ინერტული მასალით მომარაგების საქმის მოწესრიგებით მშენებლებს საშუალება მიეცემათ დიდი რაოდენობით დაზოგონ ცემენტი, რომლის ნაკლებობას ახლა თითქმის ყველა მშენებლობაზე მწვავედ განიცდიან.

* * *

თბილისში ბევრ მშენებლობას დაუძველდა ხარაჩოები. გოგებაშვილის ქუჩაზე ლატფონდი მწერალთათვის აშენებს უზარმაზარ საცხოვრებელ სახლს, რომელიც 1954 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ არც მშენებლებმა (საქმშენის მეოთხე სამშენებლო სამმართველო) იციან და არც ლიტფონდის ხელმძღვანელებმა, ნამდვილად როდის დაამთავრებენ მას.

რუსთაველის პროსპექტისა და მოსკოვის ქუჩის კუთხეში შახტმშენმა დიდი ხნის წინათ დაიწყო საქნახშირის სახლის ფლიგელის აგება. დაიწყო და... თავი მიანება. არავინ იცის, როდის გააახლებენ ამ მშენებლობას.

კიდევ არიან ჩვენში მშენებლობის მოუქნელი ხელმძღვანელები და დამკვეთი სამეურნეო ორგანიზაციების გულგრილი წარმომადგენლები.

ზ. ჯამასაშვილი,
დ. ამირანიძე.

...არმოების შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის, მივაღწიოთ საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას, შრომის იარაღების (დაზგები, მანქანები, მექანიზმები და სხვ.) უკეთ გამოყენებას, შრომის საგნების (ნედლეული, მასალები, სათბობი და სხვ.) დაზოგვას, ფულადი საშუალებების ეკონომიას. სოციალისტური წყობილება მსოფლიოში ყველაზე რაციონალური წყობილებაა. იგი შესაძლებლობას იძლევა მთლიანად ამოვიყენოთ წარმოების ყველა ელემენტი — სამუშაო ძალა, შრომის იარაღები, შრომის საგნები.

რაც უფრო რაციონალურად გამოვიყენებთ საწ

„მილიტარისტები მიზანს ვერ მიაღწევენ“

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დასავლეთ გერმანიის კომიტეტის მოწოდება

ბერლინი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დასავლეთ გერმანიის კომიტეტმა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით იბრძოლოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ.

„მილიტარისტები, — ნათქვამია მოწოდებაში, — მიზანს ვერ მიაღწევენ და შეთანხმებანი არ იქნება დამტკიცებული, თუ მუშები და მოსახლეობის სხვა ფენები განაცხადებენ, რომ ისინი უარყოფენ ამ ხელშეკრულებებს. დაე ყველამ იფიქროს იმის შესახებ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია მის სიმტკიცეზე. თუ განზორციელდა ხელახალი შეიარაღება, ჩვენს სამშობლოს სამუდამოდ მოეცლინება ატომური ომის აჩრდილი. ხოლო თუ შეეძლებთ ერთობლივი ღონისძიებით პარიზის შეთანხმებათა ჩაფუშვას, აღმოიფხვრება უმნიშვნელოვანესი დაბრკოლება მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში გერმანიის გაერთიანების გზაზე, უშიშროებისა და სოციალური აღმავლობის უზრუნველყოფის გზაზე.

გერმანელ ხალხს არა სურს პარიზის შეთანხმებანი, არა სურს დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღება, არა სურს, რომ გერმანიის ორი ნაწილი დაუპირისპირონ ერთიმეორეს და ჩაითრიონ ომში. გერმანელი ხალხი მოითხოვს დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის მოლაპარაკებას, რადგან მხოლოდ ამას შეუძლია მოგვცეს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა და შექმნას იმის შესაძლებლობა, რომ წელს მოვაწყოთ სრულიად გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები და შევქმნათ სრულიად გერმანიის მთავრობა“.

გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

ბერლინი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, 9 იანვარს დიუსელდორფში გაიმართა გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე სტუმრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. სხდომამ განიხილა საკითხი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა ომის შედეგად, რომ ბონის მთავრობა ესწრაფვის განხორციელოს პარიზის შეთანხმებანი, აგრეთვე ჩრდილოეთ-ატლანტიკის ბლოკის სამხედრო გადწყვეტილების შედეგად, რომ სამხედრო გეგმები შეადგინოს ატომური იარაღის გამოყენების გათვალისწინებით.

გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის პრეზიდიუმმა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით გააძლიეროს ბრძოლა დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღებისა და ჩრდილოეთ-ატლანტიკის ბლოკში მისი შეყვანის წინააღმდეგ.

სხდომამ მიიღო აგრეთვე გადწყვეტილება, რომ მომდინარე წლის 6 მარტს ფრანკფურტში მოწვეულ იქნას დასავლეთ გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტების პლენარული სხდომები.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტურ პარტიაში შევიდა ცნობილი ლეიბორისტი

ლონდონი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ქალაქ როტენსტოლის (ლანკაშირი) მუნიციპალური საბჭოს წევრი ფრედერიკ ლორდი გამოვიდა ლეიბორისტული პარტიიდან პროტესტის ნიშნად პარტიის ხელმძღვანელობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მხარს უჭერს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, და შევიდა დიდი ბრიტანეთის კომუნისტურ პარტიაში.

წერილში ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციისადმი ლორდი წერს: „მიმაჩნია, რომ კომუნისტურ პარტიაში შევძლებ უფრო წარმატებით ვიბრძოლო მებრძოლი პოლიტიკისათვის, რომელიც სჭირდება მუშათა მოძრაობას. კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა ადამიანს, განურჩევლად მათი პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა, გამოვიდნენ გერმანიის შეიარაღებისა და ყოველგვარი სხვა პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ომი... გერმანიის ახალი არმიის შექმნის თავიდან აცილება და უთანხმოების განსახილველად უკეთესი საერთაშორისო ვითარების შექმნა ხელს შეუწყობდა მშვიდობისა და განიარაღების საქმეს“.

ცხრა თვის წინათ როტენსტოლის მუნიციპალური საბჭოს კიდევ ერთი წევრი ალბერტ რიგბი გამოვიდა ლეიბორისტული პარტიიდან და შევიდა კომპარტიაში იმავე მოტივებით.

კომუნისტების დევნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ გუშინ უარი თქვა გადასინჯოს კომპარტიის 13 ხელმძღვანელის საქმე, რომელებსაც ბრალად ედებათ სმიტის რეაქციული კანონის დარღვევა.

უმაღლეს სასამართლოში აპელაციას საფუძველად ედო ის, რომ მტრულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელშიც მიმდინარეობდა ამ ბრალდებულთა თავდაპირველი სასამართლო პროცესი ფოლ-სკვერზე ნიუ-იორკში 1952 და 1953 წლების 8 თვის განმავლობაში, შეუძლებელი გახადა მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო გარჩევა.

იმის შედეგად, რომ უმაღლესმა სასამართლომ უარი თქვა გადასინჯოს საქმე, დაპატიმრებულ იქნებიან ელიზაბეტ ფლინი, პეტის პერი, ალექსანდრე ტრახტენბერგი, ალექსანდრე ბიტლმანი, ვიქტორ ჯერომი, ალბერტ ლენონი, ლუის ვეინსტოკი, არნოლდ ჯონსონი, ჯეკობ მაინდლი, უილიამ უეინსტოუნი, ჯორჯ ჩარნი, კლოდია ჯონსი, ბეტი განტი.

ბელგიის დეპუტატთა პალატამ დაიწყო პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის განხილვა

პარიზი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, გუშინ ბელგიის დეპუტატთა პალატაში დაიწყო პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის განხილვა.

გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტის სესია

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). დღეს უხუცესი დეპუტატის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის მარსელ კაშენის თავმჯდომარეობით გაიხსნა ეროვნული კრების სესიის პირველი სხდომა. დღის წესრიგშია ეროვნული კრების თავმჯდომარის არჩევა 1955 წლისათვის. იმავე საათზე გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტის მეორე პალატის — რესპუბლიკის საბჭოს და პარლამენტის საკონსულტაციო ორგანოს — საფრანგეთის კავშირის კრების სხდომები. ამ პალატების დღის წესრიგშია აგრეთვე თავმჯდომარეთა არჩევა. რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე კვლავ დასახელებულია რადიკალი გასტონ მონერვილი, ხოლო საფრანგეთის კავშირის კრების თავმჯდომარის პოსტზე დასახელებულია რადიკალი ალბერ სარო.

წელს ეროვნულ კრებაში თავმჯდომარის ადგილისათვის ბრძოლა განსაკუთრებით მწვავეა და დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა, რადგან პარლამენტის ჯგუფები და ფართო საზოგადოებრიობა თვითეულ კანდიდატს აფასებენ უწინარეს ყოვლისა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ეკიდება იგი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პრობლემას. ეროვნული კრების თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული არიან მარსელ კაშენი (კომუნისტი), ლე ტროკერი (სოციალისტი), გასტონ პალეფსკი („სოციალური რესპუბლიკელი“), ბრიუნელი („გლეხთა დამოუკიდებელი პარტიის“ წევრი), დელმოსი (რადიკალი) და სხვები.

კენჭისყრის დაწყების წინ თავმჯდომარემ მარსელ კაშენმა პარლამენტის 1955 წლის სესია გახსნილად გამოაცხადა. მან მოიგონა დეპუტატებს, რომ როგორც უხუცესი დეპუტატი იგი მე-9-ჯერ ხსნის საფრანგეთის პარლამენტის ყოველწლიურ სესიას.

ხაზგასმით აღნიშნა რა მთელი ფრანგი ხალხის მეცადინეობა მატერიალურ დირებულებათა წარმოების დარგში, კაშენმა თქვა, რომ, მიუხედავად ამისა, განვლილ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მატერიალური სიძნელეები ფრანგი მშრომელებისა, რომელნიც თავიანთი უფლებების დასაცავად იბრძვიან.

მაგრამ ჩვენი ხალხის, საფრანგეთის ყველა უბრალო ადამიანის უფრო გადაუდებელი მოთხოვნა, განაგრძო კაშენმა, არის მშვიდობის მოთხოვნა, რომელსაც ამ უკანასკნელ კვირეებში სულ უფრო დიდი საფრთხე მოელის. დღითიდღე ძლიერდება მათი შეშფოთება, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ გადწყდა გერმანიის ვერმახტის აღორძინება.

კაშენმა გადაჭრით უარყო გერმანიის შეიარაღების მომხრეთა მტკიცება ყბადაღებული „საბჭოთა შუქარის“ შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირი არასოდეს არ ყოფილა აგრესიორი და რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მომენტიდან იგი მუდამ მოითხოვდა საერთაშორისო თათბირის მოწყობას შეიარაღების შემცირების საკითხზე.

კაშენმა განაცხადა, რომ ფრანგი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას და განაგრძობს ბრძოლას მშვიდობისათვის.

კაშენის სიტყვის შემდეგ დაიწყო კენჭისყრა.

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). პირველ ტურში ხმები შემდეგნაირად განაწილდა: ლე ტროკერმა (სოციალისტი) მიიღო 153 ხმა, შნეიტერმა („სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტია) — 103, ბრიუნელმა (გლეხთა დამოუკიდებელი პარტია) — 101, კაშენმა (კომპარტია) — 87, პალეფსკიმ („სოციალური რესპუბლიკელი“) — 70.

რამდენადაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, უნდა მოეწყოს კენჭისყრის მეორე ტური. მეორე ტურის წინ გამოცხადდა, რომ ეროვნული კრების სხდომა შეწყვეტილია 18 საათამდე აღგილმრიგი დროით.

საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, გასტონ მონერვილი (რადიკალი) კვლავ აირჩიეს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარედ 220 ხმით. კენჭისყრაში მონაწილეობდა 278 კაცი.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, გუშინ კენჭისყრის მესამე ტურში ეროვნული კრების თავმჯდომარედ აირჩიეს პიერ შნეიტერი („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტია), რომელმაც 232 ხმა მოაგროვა. ლე ტროკერმა (სოციალისტი) მიიღო 188 ხმა, მარსელ კაშენმა (კომუნისტი) — 86.

მენდეს-ფრანსი რომს ჩავიდა

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს რომაელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მენდეს-ფრანსი ჩავიდა რომში, სადაც მოლაპარაკება ექნება იტალიის პრემიერ-მინისტრ შელბასთან. მოლაპარაკება იუწყება 11 იანვარს.

შეიარაღებული შეჭრა კოსტა-რიკაში

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, შეიარაღებულმა რაზმებმა ნიკარაგუადან იერიში მიიტანეს კოსტა-რიკის დასახლებულ პუნქტზე. როგორც ნათქვამია ასოშიეიტედ პრესის საგენტოს მეორე ცნობაში სან-ხოსედან (კოსტა-რიკა), კოსტა-რიკის პრეზიდენტმა ფიგერესმა გამოაცხადა, რომ შეიარაღებულმა რაზმმა დაიკავა დასახლებული პუნქტი კვესედა ორმოცდაათ მილზე ნიკარაგუას სახელმწიფო საზღვრის სამხრეთით. კოსტა-რიკის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა განაცხადა, რომ მას მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ კვესედის მოხალისეებსა და ინტერვენტებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა.

აქ ამბობენ, რომ ახლო წარსულში კოსტა-რიკის პრეზიდენტმა ფიგერესმა გაილაშქრა კოსტა-რიკაში ამერიკის კომპანიის „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ ბატონობის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი სან-ხოსედან (კოსტა-რიკა) იუწყება, კოსტა-რიკის პრეზიდენტმა ფიგერესმა გამოაცხადა, რომ შეიარაღებულმა რაზმებმა, რომლებიც კოსტა-რიკაში ნიკარაგუადან შეიჭრნენ, გადალახეს საზღვარი და ღრმად შეიდგნენ კოსტა-რიკის ტერიტორიაზე, დაიკავეს რა დასახლებული პუნქტი კვესედი, რომელიც მდებარეობს 35 მილზე კოსტა-რიკის დედაქალაქიდან.

ფიგერესმა განაცხადა, ეს შემოჭრა დასაწყისია „აგრესიისა, რომელსაც რამდენიმე წელია ამზადებდნენო“. მისი სიტყვით, ინტერვენტებმა თავიანთი რაზმების გადასაყვანად გამოიყენეს სატრანსპორტო თვითმფრინავები და მათი უშუალო მიზანია მოამზადონ ძირდასაშვები მოედანი კვესედის რაიონში, რომელიც შეჭრის გასაფართოებელი ბაზა იქნება.

„ჩვენ, — თქვა ფიგერესმა, — მზადა ვართ წინააღმდეგობა გავუწიოთ ინტერვენტებს ყველა იმ საშუალებით, რომლებიც კი მოგვეპოვება“. მან იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია სასწრაფო და ქმედითს ღონისძიებებს განახორციელებს ინტერვენციის შესაწყვეტად.

მდგომარეობა მაროკოში

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). პარიზის გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა მაროკოში უკანასკნელი თვეებიერიორი თვის მანძილზე სერიოზულად გართულდა. როგორც „ოროორი“ ამბობს, ამჟამად „დგას მთელი საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის ბედის საკითხი“.

მართლაც, მაროკოში ყოველდღე ხდება თავდასხმები, დაყოვნებული მოქმედების ნომბრების აფეთქება, შეტაკება პოლიციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. მარტო 20-დან 30 დეკემბრამდე სხვადასხვა შეტაკების შედეგად დაიღუპა 20-ზე მეტი და დაიჭრა 50-მდე მოქალაქე. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში, როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, მარეშში მოყლეს და დაჭრეს 15 კაცი.

გამოხატავს რა კოლონიზატორთა წრეების აზრს, გაზეთი „ოროორი“ აცხადებს, რომ „საფრანგეთი ორასიდეს არ დათანხმდება განხილვის საგნად გახადოს თავისი უფლებები ჩრდილოეთ აფრიკაში“, და ამით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაროკოს, ალჟირისა და ტუნისის პატრიოტული ელემენტების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევენ.

მაროკოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას საფრანგეთის ხელისუფლებმა რეპრესიების ახალი გაძლიერებით უპასუხეს. ამას წინათ სოკვდილით დასაჯეს 6 მაროკოელი. ამჟამად სამხედრო სასამართლოები განიხილავენ მაროკოელ პატრიოტთა ათობით საქმეს. პოლიცია და დამხმარე სამხედრო რაზმები სისტემატურად ჩხრეკენ და აპატიმრებენ მოქალაქეებს კასაბლანკაში, რაბატში, მეკნესსა და სხვა პუნქტებში. როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამ დღეებში საფრანგეთის გენერალურმა რეზიდენტმა მაროკოში ლაკოსტმა მოიწვია სპეციალური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელნი. ამ თათბირზე, რომელიც, კორესპონდენტის სიტყვით, „ნამდვილი სამხედრო საბჭო“ იყო, განიხილეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ, გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ტერორისტულმა აქტებმა ისეთი გაქანება მიიღო და ადგილობრივი მოსახლეობის (მათ შორის ზევრი ფრანგის) ისეთ აღშფოთებას იწვევს, რომ ეს სიძნელეებს უქმნის საფრანგეთის ოფიციალურ ხელისუფლებსაც.

აფრთხილებს რა საფრანგეთის ხელისუფლებს, რომ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა მაროკოში დაძაბული მდგომარეობისათვის, გაზეთი „ლიბერასიონი“ წერს: „თუ ისინი განაგრძობენ მოქმედებას ამავე მიმართულებით, ამით მხოლოდ ბრმად მოამზადებენ საშინელ აფეთქებას, რომლის პირველი მსხვერპლი თვითონვე გახდებიან“.

პეკინს ჩავიდნენ იაპონიის სავაჭრო წრეების წარმომადგენლები

პეკინი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, გუშინ ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის მოწვევით პეკინს ჩამოვიდა იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი ასოციაციის თავმჯდომარე სიოძო მურატა. მას ახლავს სამი თანამშრომელი.

ამავე დღეს თვითმფრინავით ჩამოვიდა იაპონიის თევზჭერის მრეწველობის წარმომადგენელთა დელეგაცია სუეკიცი სიციდას მეთაურობით. დელეგაცია ჩამოვიდა ჩინეთის მეთევზეობის საკითხთა ასოციაციის მოსამზადებელი კომიტეტის მოწვევით იმ პრობლემების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია მეთევზეობასთან. დელეგაციის შემადგენლობაში 14 კაცია.

სპორტის ამბები

მოციგურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება

11 იანვარს ალმა-ატის ახლოს, მაღალი მთის საციგურაოზე გრძელდებოდა საერთაშორისო შეჯიბრება. ციგურაობაში ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე.

ამ დღეს 500 და 1.500 მეტრზე რბენაში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ მოციგურავე ქალები. 500 მეტრზე რბენაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა საბჭოთა ახალგაზრდა სპორტსმენი თ. რილოვა, რომელმაც აღნიშნული მანძილი გაიარა 45,6 წამში და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა.

ამჟამად ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში მსოფლიოს ყველა რეკორდი ქალთა შორის საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნის.

1.500 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ჟუკოვამ. ამ დღეს შეჯიბრებაში მონაწილე საზღვარგარეთელმა სპორტსმენებმა თავიანთ ქვეყნების ახალი რეკორდები დაამყარეს.

ბადრაკში სსრ კავშირის პირველობის ფინალის წინ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა ჭადრაკში სსრ კავშირის XXII ჩემპიონატის ფინალური ტურნირის შემადგენლობა. დასკვნითს შეჯიბრებაში, რომელიც 11 თებერვალს დაიწყება, მონაწილეობას მიიღებენ გროსმაისტრები ი. ავერბახი, მ. ბოტვინიკი, ე. გელერი, პ. კერესი, ა. კოტოვი, ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი, მ. ტალმანოვი, ს. ფლორა; ოსტატები — ვ. ანტონინი, გ. ბორისენკო, გ. ილვიცკი, ი. კანი, ვ. კორჩნოი, გ. ლისიცინი, ვ. მიკენასი, ვ. სიმაგინი, ბ. სპასკი, ს. ფურმანი და ოსტატობის კანდიდატი ვ. შჩერბაკოვი.

ქალთა საქალაქო პირველობა ჭადრაკში

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება შეჯიბრება ჭადრაკში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ქალთა პირველობაზე.

დასაკვნითს შეხვედრებს წინ უძღოდა ნახევარფინალური ასპარეზობა 60 მოჭადრაკის მონაწილეობით. ამ შეჯიბრებაში გამარჯვება და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ოლეინიკმა, სტატნიკოვამ, გაფრინდაშვილმა, ლოლიშვილმა, ნაკუფლიამ, გუსეკიამ და გოგუაძემ. ნახევარფინალში გამარჯვებულთა გარდა ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძვიან ტოგონიძე, ივანოვა, ბელოზიოროვა, გოგიავა და სხვები — სულ 13 მოჭადრაკე ქალი.

დღემდე გაიმართა 3 ტური. წინ არის ტოგონიძე, რომელსაც 3 შესაძლებლიდან აქვს 3 ქულა. მოჭადრაკე ქალთა საქალაქო ჩემპიონატი იანვრის ბოლომდე გაგრძელდება.

თბილისის ნორჩ დინამოელთა გამარჯვება

ლვოვში დამთავრდა ნორჩ დინამოელთა პირად-გუნდური შეჯიბრება ცურვაში სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. ჩემპიონატში მონაწილეთა შორის საუკეთესო შედეგი მოიპოვეს თბილისელმა დინამოელებმა, რომელებმაც მრავალი საპრიზო ადგილი დაიკავეს და ახალი რეკორდები დამყარეს.

თბილისის „დინამოს“ გოგონათა გუნდებმა ნებისმიერი სტილით ამანათცურავში 4×100 მეტრზე და კომბინირებულ ამანათცურავში 4×100 მეტრზე პირველი ადგილები დაიკავეს და სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ახალი რეკორდები დამყარეს.

გუნდურ შეჯიბრებაში „დინამოს“ ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივი, მესამეზე — გორკის გუნდი.

ლამაზი და კარგად შეკერილი ტანსაცმელისათვის

მოსახლეობის კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან ერთად იხრდება მოთხოვნილება ლამაზი ფასონის კარგად შეკერილ ტანსაცმელზე.

მიმდინარე საზამთრო სეზონისათვის ტანსაცმლის 156 მოდელი შექმნეს საქართველოს მოდელების სახლის მოდელიერებმა. აქედან წარმოებას გადაეცა მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმლის 100-მდე ფასონი და ფაბრიკები უკვე მათი მიხედვით კერავენ ტანსაცმელს.

მოდელების სახლი დიდიხანია შეუდგა ახალი სეზონისათვის მზადებას. 1955 წლის გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის დამზადებული და დამტკიცებულია ქალის, მამაკაცის და ბავშვის საზაფხულო პალტოების, კაბების, პიჟამების, კოსტიუმების, ხალათების და სხვ. 169 მოდელი, რომლებიც უახლოეს ხანში გადაეცემა სამკერვალო ფაბრიკებს.

ამ დღეებში საქართველოს მოდელების სახლში სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მოეწყო თათბირი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სამკერვალო ფაბრიკებისათვის მოდელების გადაცემის შესახებ. შერჩეულ იქნა გაზაფხულ-ზაფხულის ყველა სახის ტანსაცმლის 57 მოდელი. თათბირზე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მხატვარ მოდელიერების ე. ატაპინის ქალისა და ბავშვის ტანსაცმლის და თ. კალანდაძის ქალის კაბების მოდელებმა.

ამას წინათ თბილისის ოფიცერთა სახლში მოეწყო 1954-1955 წლების შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის სეზონების ტანსაცმლის მოდელების გამოფენა-დემონსტრაცია. გამოფენის დამთავალიერებლებისათვის წაკითხულ იქნა მოხსენება თემაზე: „საბჭოთა ადამიანის ლამაზი ტანსაცმლისათვის“. გამოფენა მრავალმა მომხმარებელმა დაათვალიერა. აქ გაიყიდა 500-მდე სხვადასხვა ტანსაცმლის თარგი. 7 თვის განმავლობაში 3.000-მდე თარგი გაიყიდა თვით სახლთან მოწყობილ მუდმივ გამოფენაზე.

ამჟამად საქართველოს მოდელების სახლი ემზადება რესპუბლიკების მე-11 მეთოდურ თათბირში მონაწილეობის მისაღებად, რაც მიმდინარე წლის თებერვალში მოეწყობა მოსკოვში, საკავშირო მოდელების სახლში.

სურათებზე: თბილისის მოდელების სახლის მხატვარი-მოდელიერი ე. ატაპინა (მარცხნივ) მოუმზადა ახალი სახის მოდელის ესკიზის შედგენაზე; კონსტრუქტორი თ. აბაზაძე და მხატვარი-მოდელიერი ა. კალანდაძე (მარჯვნივ) ამოწმებენ ახალ მოდელს, რომელიც საკავშირო გამოფენაზე უნდა გაიგზავნოს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რამდენიმე სტრიქონით

★

ახალი პოლიგრაფიული ტექნიკა

სულ უფრო უმჯობესდება და ახალი ტექნიკით მდიდრდება საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობა. მარტო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიისა და გამომცემლობის მთავარი სამმართველოს საწარმოებმა გასულ წელს დიდი რაოდენობით მიიღეს თანამედროვე სრულყოფილი მანქანები — ლინოტიპები, სამბეჭდი, საჭრელი, ასაკინძი და სხვ., სულ ერთნაირი მილიონი მანეთის მანქანები, ეს ნახევარი მილიონი მანეთით ჯეიმატება წინა წელს მიღებული მანქანების ღირებულებას.

★

ფოტოგამოფენა

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის საგანმანათლებლო წენობაში მოწყობილია ფოტოგამოფენა, რომელსაც რამდენიმე განყოფილება აქვს. აქ ნაჩვენებია რესპუბლიკაში ყველაზე დიდი საავეჯო კომბინატის მშენებლობა და მის გვერდით მუშათა დასის პროექტი. ეს კომბინატი სრული სიმძლავრით მუშაობისას 30 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს. ფარეთოდ ნაჩვენებია ქუთაისის და ახალდასის ავეჯის მექანიზებული ფაბრიკების მშენებლობა, სატყეო მეურნეობებში საჰაერო სამაგირო გზების მოწყობა ხე-ტყის გადაზიდვის მექანიზაციისათვის და სხვ.

კეთილშობილური საქციელი

ამას წინათ ქალაქ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელექტროშემდუღებელი მუშა ა. გუტაკოვი ქალაქის პარკში მდინარე მტკვარზე დროებითის ხიდზე გადიოდა, ფეხი დაუსლტა და წყალში ჩავარდა. ნაპირზე მყოფნი ყვირილით მისდევდნენ წყალწაღებულს, მაგრამ შველას ვერავინ ბედავდა. ხმაურზე მოირბინეს მილიციის უმნის რწმუნებულებმა მ. აბრამიშვილმა და ი. ხადურმა. ისინი არ დაიბნენ. წყალში პირველი გადაეშვა მ. აბრამიშვილი. მას დეხმარა ი. ხადური. გუტაკოვი ნაპირზე გამოიყვანეს. აქ მას პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინეს.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

13 იანვარს
ჟ. ბიზე—**კარმენი**
ვერა დავიდოვას მონაწილეობით.

14 იანვარს
პ. ჩაიკოვსკი—**გედების ტბა**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე
ლონდონის მომთვინიერებლის
რსფსრ დამსახურებული არტისტის
ირინა ბუზრიმოვას
ბასტრელები
და დიდი საცირკო წარმოდგენა
3 განყოფილებად.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 16 იანვარს
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა.
დასაწყისი დღის 12 საათზე და 3 საათზე.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.
ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტის
დავით გამრეკელის
გასტროლები
15 იანვარს
პ. ჩაიკოვსკი — **პიკის ქალი**
20 იანვარს
ზ. ფალიაშვილი — **დაისი**
ბილეთები იყიდება.

სსრ კავშირის ავტომტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს თბილისის ავტომსარემონტო ქარხანას ფუდმივ სამუშაოდ ესაჭიროება:

1. ინჟინრები საამქროთა უფროსების თანამდებობაზე.
2. ინჟინრები საამქროთა საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროების უფროსების თანამდებობაზე.
3. ინჟინრები უფროსი ტექნოლოგების, ტექნოლოგებისა და კონსტრუქტორების თანამდებობაზე.
4. ინჟინერ-ელექტრიკოსი ქარხნის უფროსი ენერგეტიკოსის თანამდებობაზე.
5. მუშები: ა) ხარატები, ბ) მღარავები, გ) მღებავები, დ) ჩოწყობილობის შემკეთებელი ზეინკლები, ე) მეთუნუქეები, ვ) მეინსტრუმენტე ზეინკლები.

მისამართი: თბილისი, ლენინის რაიონი, მექანიზაციის ქ. № 1, ტრამვაი № № 6, 12. ტელეფონი 3-00-60.

დღეს
თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ოთარაანთ ქვრივი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ქაცია ადამიანი?!, **გრიბოედოვის სახელობის** — ერთი სიყვარულის ისტორია, **მუსიკალური კომედიის** — სალხინებელი, **სომხური დრამის** — ალისფერი ყვავილი.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, სპარტაკი, ისანი, პლეხანოვისა და ვორო-შილოვის სახელობის კლუბები — ერთგულების გამოცდა, **ოქტომბერი, დიდუბე, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — შიპკის გმირები, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის, კოლხიდა** — ბაიჯუ ბავრა, **კიროვის სახელობის პარკი** — სათადარიგო მოთამაშე, **თბილისი** — ანა კისერზე, **კოლმეურნე** — ორი ბიგბა მიწა, **გორკის სახელობის კლუბი** — ვინც ბოლოს იცინის, **კომუნარების ბაღი** — ნაძალადევი ქორწინება.

ბილეთების ფასდაკლება

ოპერეტა „მხატვარი“ აგროვებს მოწაფეებს ქარგვის საამქროში ტამბურის მანქანით მხატვრული ქარგვის შესასწავლად.

ცნობებისათვის მიმართეთ: **თბილისი, ჯორჯაძის ქ. № 2. არტელ „მხატვრის“ გამგეობა.**

დისერტაციის დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 3)

1955 წლის 25 იანვარს დღის 12 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

გურამ ალექსანდრეს-ძე ჭილაშვილი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Взаимодействие — квантов с легкими ядрами“.**

**დისერტაციის გაცნობა შეიძ